წელიწადი მესამე
ფასი 7 კაპ.
კვირა, აპრილის 30, 1917 წ.

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ

№ 93 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 93

მაისის 1—თამარობა

თამარობა

ხვალ იულიუსის კალენდრით ძველი პირველი მაისობაა.

ახალის სტილით პირველი მაისობა ცამეტი დღით წინ იყო—აპრილს 18.

პირველი მაისობა საქართველოში ორმაგი დღესასწაულია: დღესასწაული საერთაშორისო—მუშათა კლასისა და დღესასწაული ქართველ ერისა—თამარობა.

18 აპრილის საქართველოში ახალის სტილით მუშათა „ინტერნაციონალის“ დღეობა იუქმეს.

ეროვნული მაისობა — თამარობა, ისევ ძველ სტილს შერჩა.

18 აპრილის ახალის სტილით იმიტომ იუქმეს, რომ მუშათა კლასის ძირითადი მოთხოვნილებანი ემცნოთ მთელ ქვეყნისათვის და სიგნალი მიეცათ ყველა სახელმწიფოთა და ერთა მუშათა კლასების კავშირის, ინტერნაციონალის აღდგენისათვის.

იმ დღეს ჩვენც, როგორც მოტრფიალენი არა ერთის წოდებისა, ან ერთის კლასისა, არამედ მთელი საქართველოსი, მივესალმებით ღვიძლ დემოკრატიის დღესასწაულს და ვუსურვეთ უფლებამოსილ ერების დემოკრატიათა კავშირის თანასწორი წევრობა.

ახალ კალენდრის 14 მაისს ანუ პირველ მაისობას—თამარობას, მიტომ ვდღეობობთ, რომ თამარის დღე სიმბოლოა გაერთიანებულ ქართველ ერის კულტურისა და სახელმწიფოებრივობის თავისუფალ არსებობისა.

თამარობა ისაა ჩვენთვის, რაც ინგლისელთათვის გიორგობა—დღე ეროვნულ სახელმწიფოებრივ პრინციპის მოგონებისა და პატივისცემისა...

ნოე ჟორდანია ასე აღწერდა 1894 წელს „ივერიაში“ თამარის ეროვნულ ღვაწლს:

„... დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროს საქართველო ერთი პოლიტიკური ცხოვრებით სტკბებოდა, საერთო ისტორიულ უღელს სწევდა, მტერს ერთად მტრობას უწევდა და მოყვარეს მოყვარობას. მაგრამ სუყველა ეს დროებითი, წარმავალი იყო... მხოლოდ იმისთანა მშრომელ, მხნე და გამჭრიახ მეფეთ, როგორიც იყვნენ დავით აღმაშენებელი და თამარი, შეეძლოთ დროებით მაინც შეერთებინათ მთელი ქართველობა. მოშორდენ თუ არა ისინი ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, მაშინვე დაირღვა ერთობა და გაჰქრენ საქმენი მათი მიერ დაწყებულნი... მიუხედავად ამისა, ღვაწლი დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისა დაუფასებელია საქართველოს წინაშე; პირველად ამათ დასთესეს თესლი ქართველთა „ერთობისა“, („ნაწერები“ გვ. 20—21 და სხოლიო).

ქართველმა ერმა ინება და დავით—თამარის საერთო ღვაწლით შექმნილი დიდება ქართულ სახელმწიფოებრივებისა სწორედ ქალის, თამარის სახელს გარდააწნა.

ბაზალეთის ტბის ფსკერში რომ ოქროს აკვანი ირწევა, ეს აკვანი, ხალხურ ლეგენდით სწორედ თამარ მეფეს ჩუქვენებია.

რამოდენიმე საუკუნეა რაც ტალღების ბედზე მინდობილი აკვანი ირწევა...

დღეს რევოლუციაც არის და ომიც..

საერთაშორისო და სამოქალაქო ზავი ყოველ ერს თავისუფლებას ჰპირდება.

და თამარის დღეს სწორედ მისთვის ვუქმობთ, რომ საქართველოს ეროვნული მთლიანობა და კავშირი განვამტკიცოთ და ერთი სიგნალი კიდევ მივსცეთ საქართველოს თავისუფლებისათვის,

რათა „ივერი
აღსდგეს ძლიერი
და დადგეს ერად
სხვა ერთა შორის“...

თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს კულტურა მარტო ერთ კლასისათვის კი არ არის ძვირფასი არამედ ქართველ ერის ყოველ სოციალურ და პოლიტიკურ დასისათვის.

თუ დავით-თამარი იყვნენ, „პირველად რომ დასთესეს თესლი ქართველთა ერთობისა“, განა ეს ვალს არა სდებს დღევანდელ საქართველოს დემოკრატიულ ერთობის მოციქულებს?

და თუ „ბრძოლა დემოკრატიის უფლებისათვის არის და უნდა იყოს ბრძოლა ერის უფლებისათვის“ და თუ აკაკი ჩხენკელისავე ბოლო სიტყვით „ქართველი დემოკრატია საქმით დაამტკიცებს, რომ ის ღირსეული მემკვიდრეა თავის წინაპართა“,—მაშ სწორედ დროა, რომ თვით ქართველმა დემოკრატიამ ამოასვენოს ბაზალეთის ტბის ფსკერიდან ეს ოქროს აკვანი, ახსნას არტახები „იმას, ვისიც სახელი დღემდის არ ითქმოდა“, და ვისი სახელიც დღეს საქართველოს თავისუფლება არის, მიიბაროს იგი ჩვილი ყრმა, ძველი თამარის საქართველოს მიერ შობილი, და თავს იდოს მისი პატრონობა, მისი დავაჟკაცება.

აი, ამ ახალ საქართველოსათვის ორივე მაისობა, ინტერნაციონალიც და ნაციონალიც, ერთი იქნება.

გრიგოლ ვეშაპელი.

დიდ თამარის ხსოვნას

თამარი! თამარ-მეფე! ეს სახელი, დროთა ცვლილების მიუხედავად, მუდამ ჟამს ტკბილად და სასოებით სახსენებელია ყოველ ქართველისათვის!

აი, დაიმხო ერთი მეფე და ჩვენ ამ დამხობას აღტაცებით, შვებით შევეგებენით. და თამარიც ხომ მეფე იყო და როგორც ასეთი—მატარებელი თვით-მპყრობელობისა. მაშ რა არის მიზეზი მისი ასეთი თაყვანისცემისა შვიდი საუკუნის შემდეგ და დღევანდელ დღესაც კი მის სადიდებლად შეკრებილ ხალხის აღტაცებისა?

იქნებ ისა, რომ დაემხო მეფე არა ჩვენის ეროვნებისა, და თამარი კი არის ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენი ხალხის მიერ დაგვირგვინებული? რასაკვირველია, არა ამ მიზეზით. განა ცოტა ჰყავდა საქართველოს მეფე, თვის მიერ დაგვირგვინებული? დიდი რუსეთი თვისი მეფის დამხობას დღესასწაულობს და მას არ მოეპოვება თავის წარსულში ისეთი გვირგვინოსანი, რომლის სახელსაც ასეთის სიყვარულით, ასეთის მოწიწებულ თაყვანის ცემით გაიხსენებდეს, ჩვენ რომ დღესაც ჩვენი სათაყვანებელი მეფის—თამარის სახელს ვადიდებთ და ვეთაყვანებით.

მაშ რად არის ეს თითქო წინააღმდეგობა ხალხის გრძნობაში? იმიტომ, რომ თამარი არა იყო წარმომადგენელი ჯალათობისა და მტარვალობისა, არამედ განხორციელება იყო სათნოებისა და სიყვარულისა, თავის ხალხისათვის თავდადებისა.

ვინ არ იცის ჩვენში მისი ჩაგრულთა მიმართ სიყვარულით აღსავსე გულის გამომხატველი მაგალითი: მის კარზე მისული მათხოვარი, ელის თამარის მათხელიდან მოწყალების მიღებას. მეფე კი ეკლესიაზე წასასვლელად სადღესასწაულოდ ემზადება, უგვიანდება ხოვრის ნახვა. ბოლოს შეიტყობს, რომ მათხოვარი კიდეც წავიდა. ამაზე შეძრწუნებული მეფე-ქალი მოიხდის დიდად ძვირფასს, საყვარელ სამკაულს, რომლით მორთვამ ის დააგვიან, და ხატს შესწირავს.

აი რას უკარნახებს მას მისი სათნო გული!

თამარის მეფობამ არ იცის მაგალითი სიკვდილით დასჯისა და ისიც მეთორმეტე საუკუნეში!

დღეს დიდი ნაწილი მსოფლის მცხოვრებთა, მშრომელი, მაშვრალი ხალხი, ეს მეორე ღერძი დედა-მიწის, კაცობრიობის ბრუნვისა, იბრძვის ცხოვრებაში თანასწორობისათვის. ამის გულისათვის, ასეთ მოთხოვნისათვის მას ჯვარს აცვამენ, ისედაც გამწარებულ სიცოცხლეს ციხეებში ალევინებენ, სახრჩობელათი უპასუხებენ!

როგორღა შეხედავდა ამ საკითხს თამარი? როგორ შეეგებებოდა თავის საყვარელ ხალხის სამართლიანს მოთხოვნას, სურვილს, მისი კაცთ-მოყვარული გული?

ერთ წამსაც არ მინდა ეჭვი შევიტანო, რომ ის დიდებული, უაღრესად ქრისტეს მსგავსი ადამიანი მიჰმართავდა თავის ხალხს და ეტყოდა:—განახორციელეთ თქვენი სურვილი, იცხოვრეთ კეთილად, როგორც კი ეს თქვენთვის ყველასათვის შესაძლებელი და მოსახერხებელიაო.

და მისის კვერთხის ერთის მოქნევით განხორციელდებოდა ის, რისთვისაც დანთხეულა და კიდევაც დაინთხა ზღვა სისხლი უდანაშაულო მებრძოლთა.

და თუ ასეთია ჩვენის ხალხის რწმენა თამარისადმი, აღარც გასაკვირალია დღესაც მისი თაყვანის ცემა და სიყვარული!

მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართველ ქალისთვის თამარის ხსოვნას. ის თვისი ბუნების ძლიერებით თითქო დარაჯად უდგია ქართველი ქალის არსებას, თითქო იგი შორიდან უკარნახებს მას მის მოვალეობას ქვეყნისადმი და არც თუ უნაყოფოდ: მართალია უკანასკნელ თავისუფალ ქართველ ქალთან, რომელმაც თავისუფლების ხელ-შეხეხისათვის ახლად შემოსულ რუსის მთავრობის თავხედ მოხელეს ხანჯლით გული გაუგმირა, ასის წლის განმავლობაში ქართველი ქალის ნების-ყოფაც დაიმარხა, მაგრამ ის მაინც ღრმად ატარებს გულში თავისი სამშობლოს წარსულის უღრმეს სიყვარულს და აი ამაში უნდა ვხედავდეთ იმ დიდ წინაპარ, დიდებულ ქალის ხსოვნის და ზე გავლენას!

ქართველო ქალო! შენ დღემდის მიდიოდი დიდუბეში თამარის ხატის წინ დასაჩოქებლად, რომ მდუღარე ცრემლებით შეგეჩივლა შენი ხალხის გასაჭირი, მძიმე უღელ-ქვეშ მისი გმინვა აუტანელი!

დღეს კი სულ სხვა გულითა ხარ შენ აქ მოსული!

დღეს სხვა ხმით წკრიალებენ დიდუბის ტაძრის ზარებიც! თამარსაც ჩასძახიან მისის ხალხის ბორკილების მსხვრევასა!

დიდი რუსეთი აღსდგა იმავე მაშვრალ ხალხის მეოხებით და ეს ხალხი, როგორც ჭირში იყენებდა ქართველ ხალხს გვერდში, ისევე ლხინშიაც გაიხდის მას თანამოზიარედ!

მას ტყუილად ხომ არ უდგას სათავეში ჩვენი შვილი, ეს უმტკიცესი დედა-ბოძი რუსეთის თავისუფალ ხალხის ახალი შენობისა და ჩვენთვის კი სიამაყე, სასოება და დიდება!

მხოლოდ ერთია ჩვენთვის ამ ჟამად დიდად საჭირო და ამისათვის ქართველი ქალი უნდა დადგეს თვის უკვდავი დედის, თამარის წმიდა ხატის წინ მუხლ-მოდრეკილი და შესთხოვოს მას შთააგონოს ჩვენს ხალხს შეხმატკბილებულის აზრით და შეწყობილის ნაბიჯით იყოს მისი სიარული სანატრელ მომავლისაკენ!

მაშ შევუერთოთ თამარის ხსოვნას ამ სანატრელი მომავლის ლოზუნგნიც: გაუმარჯოს თავისუფალ დიდ რუსეთს! გაუმარჯოს მის განუყრელ ნაწილს, თავისუფალ პატარა საქართველოს! გაუმარჯოს საქართველოში მცხოვრებ ერთა შეთანხმებულ ცხოვრებას!

ნინო ყიფიანი.

თამარის დღე

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, გვიბრძანა დასახსომებლად უკვდავმა შოთა რუსთაველმა. მაგრამ თვისის ხელთუქმნელ პოემით პოეტმა დაგვისურათა ქალი, როგორც უფრო მაღალი, სათნო და მშვენიერი არსება. საქართველომ საუკუნეთა ფუ- [illegible] ქალებსა, როგორც მშვენიერებისა და სულის სილამაზის სიმბოლოს. წარმართულ საქართველოს ნერგზედ მოციქულთაგან ნამყნობი ქრისტეს სჯული მთლად დაულოცა ხალხმა ჩვენს დიდებას—წმ. ნინოსა, ამ განსახიერებას სიწმინდისა, აგზნებისა და სათნოებისას. დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი ნიჭი, მისი დაუღალავი ღვაწლი, თამარის ოქროს ხანის საფუძვლის შექმნისათვის გაწეული—მთლად დაჩრდილა ხალხის თვალსა და გულში თვით ტურფა თამარის საოცნებო სილამაზემ. მისი ღვთიური სახე დღესაც წინ უძღვის ყოველს ქართველ მგოსანს და საქართველოს შვილის მესაიდუმლეს; მისი განგებიანი და მორჭმული მეფობა კიდითი-კიდე სამღერალ ჰიმნსა ჰქმნიდა და მეფობის მაგალითად გარდაქცეულიყო; მისი სახიერება და უზენაესი მხნეობა ყოველგვარ შემოქმედების სიმბოლოდ იქნება. იგი იყო, არის და უკვდავი იქნება ქართველ ერის გულსა და ისტორიაში, როგორც მნათობი, წინამძღოლი, თავისუფლებისაკენ მიმავალი. იგი, როგორც ქალი, ხალხის გრძნობამ ყველა ისტორიულ მოღვაწეზედ და მამაკაცზედ მაღლა დააყენა და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ქალი ბუნებისა, გონებისა და სულის სილამაზის სურათია, იგი უზენაესი მხატვრობაა და არასოდეს არ იქნება **სწორი** მამაკაცისა. ბუნებამ და ისტორიამ მას მიაკუთვნა უმაღლესი დანიშნულება და მან უნდა იპოვოს თავისი გზა სიტურფისა და ძლიერებისა. იგი უმაღლესი, ზეწარმტაცი ნაწილია, კაცობრიობისა და არა თანასწორობამდე დაქვეითებაშია მისი მომავალი. ქართველი ქალი არ აჰყვება საერთო ძახილს თანასწორობისას, რადგანაც თავის სფეროში მას უფრო მაღლა შეუძლიან დგომა და ხალხი მას მიაწერს ყველაფერსა, თუნდაც სხვამ შეჰქმნას ბედნიერება.

ამიტომ ქართველმა ქალმა უნდა მიჰბაძოს ჩვენს თამარ მეფეს, უნდა აღმაღლდეს ცხოვრების თანასწორ უფლებიანობაზედ და დაიმკვიდროს ის ბრწყინვალე ტახტი, საითაც კაცობრიობის მეორე ნახევარი მიისწრაფვის, მაგრამ კი ვერასოდესაც ვერ მიაღწევს—ტახტი მშვენიერებისა, სიცოცხლის სილამაზისა და სისპეტაკისა.

არა მარტო მაშვრალნი და ტვირთმძიმენი შეჰქმნიან ცხოვრებას და არა მარტო უღელში შებმულნი აღმოაცენებენ სიმდიდრეს, არამედ უზენაეს საოცნებოს და იდეალს კაცობრიობისას შეადგენს სილამაზე ცხოვრებისა და სიმბოლო სილამაზისა, ცხოვრების სილამაზისა ქალია, ქალი.

ჰბაძევდით თამარსა და დანარჩენი თვით განგებისგან მოგენიჭებათ თქვენ.

რაე.

თამარ!

რა ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყვანი ჩემნი—ოდეს კრძალვით ვახსენებ შენს გვირგვინოსანს სახელს, ჲ თამარ!

გაზაფხულს ესწორე და ვარდებში განეწესე; ყირმიზის იაგუნდის გაღიმებით სამშობლო გამინათე!.

შენი სახე—საქართველოს სანთელია, თვალმშვენიერო!

ვაი მე! ვაი მე! საქართველოსთვის მხიარული დღე ვერ მიპოვია; შენც უდაბნოს ვარსკვლავივით გაიელვე ლურჯ უფსკრულში და ვგოდებთ, რომ კვლავ ვერ შევესწრებით სხივთა დღესასწაულს...

ჩვენ ვიცით, რომ ორჯელ ვარსკვლავი არ გაგვინათებს!—და კვლავ შენატრით, გაუმეორებელო მზევ; გაზაფხულის ლილის ყვავილო!

აჰა, სამშობლო ჩემი, როგორც ანგელოსი სულ-ფრთებიანი, უიმედოდ აწყდება წყვდიადს, მაგრამ შენი შორიელი სახე თეთრ-ვარდიან ბრწყინვალებით უნათებს აღთქმულს გზაბილიკს!

მოუვალ გზისკენ წასულან სამშობლოს ვარსკვლავები; ბრწყინვა და შარავანდედი შეახუნდა საქართველოს მზეს... არ გაიშალა ჩვენთვის სხივთა მარაო და დღეს მტრის შვილდოსნისგან დაკოდილი ქართლოსიანი სასოებით მხოლოდ შენ შემოგძახის: თამარ! ჲ თამარ!..

— ჰყვავის და სჭკნება საუკუნე; ჰყვავის მწუხრი და განთიადი, ხოლო სახე შენი ჰგიებს, დაუმჭკნარი, ღიმილის ელვით ოქროცურვილი..

საუკუნეთა ბინდში, მხოლოდ შენ გპოვა ერის სალამურმა, მხოლოდ შენ მოგკრა თვალი საქართველოს დედამ!.. და გიხმობთ შველად თამარ! ჲ თამარ! —ივერია იავარ იქმნა!

მეც ძაძით შევმოსე გული; მე ღამის სიჩუმე ვარ—ღამეში ჩამარხული და სიჩუმით ვახსენებ შენს სახელს. მე არ მაგიჟებს დროშების ფრიალი და შენი სახელის ხსენება საგმირო სიმღერაში, მე მხოლოდ ჩუმად გლოცულობ შენ!.

მთვარის ნაპერწკლებით და ოქროს ძაფებით შენს მზიურს სახეს შავ ნისლებში ვქარგავ, ჲ თამარ!

მე მიხარიან, რომ საქართველო შენის სახელით შეიმოსა; მე მიხარიან, რომ შენ ედედოფლე მას—უკვდავი მშვენიერება და სიხარული!—და კვლავ თაყვანსა გცემ, თამარ! შენით ჰსუნთქავს საქართველო!

გულს ველარ შემიზარავს ჩემს წინაშე აღმართული შავი აჩრდილი სიკვდილისა; უკვდავია ერი ჩემი, სანამ უკვდავობს თვალშეუდგამი შენი სახე, —უკვდავია, რადგანაც შენით უჰქნობ მშვენიერებას ეზიარა—

ჲ თამარ!..

გ. ლეონიძე.

თამარის დღეობა

პირველი მაისი... თამარის დღე...

რამდენ რამეს ეუბნება დღეს ქართველის ისარნაკრავ გულს ეს სიტყვები!..

რომელი ქართველი არ მოიგონებს გულის ფანცქალით დიდებულ თამარს, საქართველოს ამომავალ ვარსკვლავს, რომელიც 733 წლის წინად ამობრწყინდა საქართველოს ცის ტატნობზე და რომელმაც მორთო და მოკაზმა ყველაფრით შეამკო და ვით დღევანდელი დღე, პირველი მაისი, ააყვავილა პატარა და ტურფა საქართველო.

ქვრივ-ობლების გამკითხავი, ეკლესია-მონასტრების აღმგები და გამშვენებელი, უსამართლობის და ძალმომრეობის მდევნელი, ადამიანთა სიკვდილით დასჯის და დასახიჩრების უარისმყოფელი!

— აი, ვინ არის თამარი!

თვალწარმტაც და მომხიბლავ სილამაზით შემკული, ხოლო მასთან ვაჟკაცურ სიმამაცით მოსილი და სახელმწიფო ნიჭით დაჯილდოებული,—აი რა ახასიათებს დიდებულ საქართველოს დიდებულ მეფეს—თამარს—აი რისთვის შეითვისა ასე რიგად ქართველმა ერმა [illegible] გული სამარედ.

თამარი ხომ მთელი საქართველოა... თამარის დრო საქართველოს საუკეთესო დროა, ოქროს ხანაა, რომლის მსგავსი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს.

ბრწყინავი ვარსკვლავი ჩაქრა... გვირგვინოსანი ბინოვანი რომელიც საქართველოს ბედს თავს დასტრიალებდა, მიილულა. ბევრი მწარე დღეები გამოიარა საქართველომ ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ ყველაზე უმწარესი და უსასტიკესი საქართველოს ისტორიასა, და ცხოვრებაში—უკანასკნელი საუკუნეა დღიდან რუსეთთან შეერთებისა დღიდან საქართველოს უფლებების აყრისა, დღიდან, შეურაცხყოფისა და მისი წმიდათა წმიდის შეგინებისა. ამ ას ჩვიდმეტის წლის განმავლობაში ტანტალისებურ ტანჯვას განიცდიდა თამარის საქართველო და ამიტომ თვით დიდებული სახელები მივიწყებულ იყო გადაგვარებულ ქართველებისაგან.

დღეს კი განახლების განთიადზე, როცა საქართველოს ბედ-იღბალიც იჭედება, სასოებით ვიგონებთ დიდებულ თამარს და მუხლ-მოდრეკით ვეამბორებით მის სპეტაკ არსებას.

ი. გ.

თამარობა

(პირველი მაისი)

ხვალინდელი დღე მთელი ქართველობის ეროვნული დღეა და მასთან ერთად მორწმუნე ქართველთა საეკლესიო დღესასწაული. ასი წლის მონობის შემდეგ საქართველოს ეკლესია ხვალ პირველად თავისუფლად იდღესასწაულებს ამ დიდებულ დღეს და თამარის ხატის წინ აღთქმას დასდებს —ამიერიდან ღირსეულად ატაროს თავისუფლების დროშა, რომელიც ისე დიდებულად ამკობდა თამარის დროს ქართველ ერსა და საქართველოს ეკლესიას.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა გულითად ულოცავს ამ ბრწყინვალე დღეს მთელს ქართველობას, რომელიც იმედია წელსაც ჩვეულებისამებრ შეეგებება ამ, ჩვენის ეროვნულ კულტურულის წარსულის გამომხატველ, ბრწყინვალე დღესასწაულს.

საქართველოს ეკლესიის
დროებითი მმართველობა.

რევოლუცია

დეპეშები

სოციალ-დემოკრატთა კონფერენცია

ხარკოვი. აპრილის 26. აქ დაიწყო ოლქის კონფერენცია; მონაწილეობს 20 პარტიული ორგანიზაცია.

ქალაქის დემოკრატიული საბჭო.

ხარკოვი. აპრილის 26. აქ მოხდა დემოკრატიულ საფუძვლებზე დამყარებული ქალაქის საბჭოს პირველი სხდომა. ხმოსანთა რიცხვში დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებიც არიან.

პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლები და ჯარის კაცნი

იასსა. აპრილის 26 ჩამოვიდნენ პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლები და ჯარის კაცებს და აფიცრებს მიმდინარე საქმეთა ვითარება და ხალხის არმიის თანამედროვე ორგანიზაცია გააცნეს. მსმენელებმა დიდი ტაშით დააჯილდოვეს მოლაპარაკენი და მადლობა გადაუხადეს ჩამოსვლისათვის.

საკანდიტროებში

სარატოვი. აპრილის 26. სასურსათო საბჭომ მეკანდიტრეებს აუკრძალა მაისის 3-დგან ტკბილეულობის გამოცხობა.

„მენშევიკები“ და შრომის საკითხი.

კიევი. აპრილის 26. სოციალ-დემოკრატ მენშევიკების საოლქო ყრილობამ სურვილი გამოსთქვა ფაბრიკა-ქარხნებში დაარსდეს შემარიგებელი კამერები, განისაზღვროს ქალთა და ბავშვთა შრომა და, რადგან საქმე ნაკლებად იშოვება, აიკრძალოს მუშახელთა მოწვევა. ყრილობამ დაადგინა არა სპეციალისტი სამხედრო ტყვეები მინდვრებში ამუშაონ და ყველგან შემოღებულ იქმნეს შრომის ბირჟები.

არქიეპისკოპოზ იოაკიმეს წასვლა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. აპრილის 27. არქიეპისკოპოსი იოაკიმე, მოთხოვნილებისამებრ და სხვა და სხვა ექსცესების თავიდგან ასაცილებლად, ნოვგოროდიდგან წავიდა.

სამღვდელოების ყრილობა.

ტამბოვი. აპრილის 27. ეპარქიის სამღვდელოების ყრილობა დასრულდა. დადგენილია მოითხოვონ ომი გამარჯვებამდე და ყოველგვარი დიქტატურის მოსპობა.

სოციალისტ-რევოლიუციონერთა კონფერენცია.

ეკატერინოდარი. აპრილის 25. სოციალისტ-რევოლიუციონერთა კონფერენციაზე გარდასწყვიტეს: უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ლიკვიდაციისათვის გამართონ მოლაპარაკება მთელი ქვეყნის სოციალისტებთან. დაარსდეს ყაზახთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო.

საზღვარ-გარედ მყოფ რუს პროფესორთა თხოვნა.

ციურიხი, აპრილის 26. რუსის 40 პროფესორმა, რომელნიც შვეიცარიის სხვა და სხვა უნივერსიტეტებში პროფესორობენ, სახალხო განათლების მინისტრს მანუილოვს მიჰმართეს, რუსეთის უნივერსიტეტების პროფესორებად მიგვიღეთო.

გადასახლებულ გერმანელთა დაბრუნება ახალშენებში

ჟიტომირი, აპრილის 26. გერმანელი მოახალშენეები თავის ახალშენებში ბრუნდებიან; გლეხები მათ ხშირად ეჩხუბებიან.

გადასახლების გაუქმება.

პეტროგრადი, აპრილის 26. დროებითი მთავრობის დადგენილებით გადასახლება გაუქმდა. სხვა ადგილებში საცხოვრებლად გადასახლება, როგორც სასჯელისა მოსპობილია. გადასახლების მაგიერ ციხეში დაპატიმრება უნდა იქმნეს შემოღებული არა უმეტეს სამი წლისა.

იმ გადასახლებულთ კი, რომელთაც მთელი ქონება ჩამოერთმევათ, გადასახლების მაგივრად გაჰგზავნიან ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში 4—6 წლით, უფლებათა და ქონების ჩამორთმევით. კატორღა და საკატორღო მუშაობა ამიერიდან სრულებით უნდა გაუქმდეს.

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

პეტროგრადი, აპრილის 26. თავად ლვოვმა მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეს ჩხეიძეს დეპეშით შეატყობინა, აცნობოს საბჭოს წევრებს, რომ მართველობის შემადგენლობის გასაფართოებლად საჭიროა მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების აქტიური მუშაობაო. გამოქვეყნებულია მინისტრ-თავმჯდომარის თავად ლვოვის წერილი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის როძიანკოს მიმართ, ლვოვი ამ წერილით როძიანკოს ატყობინებს რომ, საპასუხისმგებლო მუშაობაში მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლებს მოვიწვევო. ესენი სახელმწიფოს მართვა გამგეობაში დღემდის არ მონაწილეობდნენ.

ოთხივე სათათბიროს წევრთა საზეიმო ყრილობა

პეტროგრადი. აპრილის 27. როძიანკოს სიტყვის გაგრძელება. (იხ. გუშინდელი ნომერი გაზ. „საქართ.“) ვერც მესამე სათათბირო შეურიგდა მთავრობის პოლიტიკას. მისმა შრომამ და სამხედრო და საზღვაო სამინისტროების შეუპოვარმა კრიტიკამ ის ჰქმნა, რომ დღემდის შეძლება გვაქვს საშინელ მტერთაგან დავიცვათ. მთავრობა ეცადა, რომ მეოთხე სათათბირო მისი გამგონე ყოფილიყო. დაქსაქსული მეოთხე სათათბირო გაჭირვების დროს შეერთდა და სახელმწიფოში ძირითადი ცვლილებანი მოახდინა. ბატონებო! მეოთხე სათათბიროს, როცა იგი რევოლიუციას ახდენდა, სწამდა, რომ ქვეყანა თავისუფლებისაკენ მიჰყავდა. ხალხი ამ ცვლილებას ერთსულოვნად შეხვდა, და ის იმასა ჰმოწმობს, რომ რუსეთი პოლიტიკურად მომწიფდა და მიხვდა, თუ გაჭირვებულ მდგომარეობის ხსნა სად უნდა ეძებნა. მოგესალმებით, ხალხის ყოფილ და ეხლანდელ წარმომადგენლებს. რუსეთი თქვენს ხმას გაიგებს და თქვენის სიტყვებიდან დაასკვნის თუ რა სჭირია ქვეყანას და როგორ უნდა მოვიქცეთ. უნდა გავიხსენოთ, ბატონებო, რომ ეს ომი რუსეთში არავის არ უნდოდა, რუსეთის დიპლომატიამ ყოველი ღონე იღონა მისი თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ომი ისე უნდა დავასრულოთ, რომ რუსეთის ბუნებრივი მიწა-წყალი არ დავკარგოთ და არც სახელი შევირცხვინოთ. მე სავსებით ვეთანხმები დროებითი მთავრობის დეკლარაციას. განა რუსეთმა იმიტომ განიწირა თავი, რომ სახელის შეუფერებელი ზავი ჩამოეგდო? (პურიშკევიჩი თავის ადგილიდან: „არასდროს“. ტაში). სუ- [illegible] ზავი შესაძლებელია? ნუთუ ჩვენ სამართლის, თავისუფლების და სიმართლის იდეალებს ვერ მივაღწევთ? ჩვენი მოკავშირენიც ამისათვის იბრძვიან (ტაში) ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ იდეალების საწინააღმდეგოდ გერმანეთმა ქვეყნის დაპყრობის იდეალები წამოაყენა. ამიტომ გერმანელები არას დაგვითმობენ, ამიტომ ზავის ჩამოგდება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ომი გათავდესო, შეუძლებელია. გერმანიის სიცოცხლე წარმოებაში იყო, ამით სცხოვრობდა მუშათა კლასი და ბურჟუაზიაც. ამაშია მათი ინტერესების ერთობა. თუ მოკავშირენი ამ წარმოებას დასცემენ, მაშინ ის ინტერესებიც გაიყოფა! აი ეს არის მიზეზი, რომ გერმანიის მუშა ბურჟუაზიას მხარს უჭერს. ვშიშობ, ვაი თუ ქვეყნიერობის ხალხთადმი მიმართვას—ომი მოვსპოთო—სწორედ გერმანიის სოციალისტურ ჯგუფებმა შეუბრუნონ ხელი. ამიტომ არის საჭირო, რომ რუსეთმა ომი სრულს გამარჯვებამდის მიიყვანოს.

ორატორმა აღნიშნა, რომ რუსეთი განსაცდელშია, მას შინაური და გარეული მტერი არტყია. ამის მიზეზი ძველი წყობილებააო. ამიტომ შეერთებაა საჭირო, მხოლოდ ერთობა გვიხსნისო. მძიმე საპასუხისმგებლო საქმე იკისრა დროებითმა მთავრობამ, მაგრამ ხალხის მოვალეობაა ამ მთავრობას მხარი მისცესო. როძიანკო წინააღმდეგია, რომ მთავრობის მოქმედებაში სხვა ერეოდეს. საჭიროა რომ მთავრობა ნდობით იყოს აღჭურვილიო.

მეორე სათათბიროს თავმჯდომარე გოლოვინმა მოიგონა პირველ სამ სათათბიროს მოღვაწეობა და ბედი. პირველმა სათათბირომ მეორეს ძვირფასი განძი დაუტოვა მუშაობის მთლიანი გეგმა; მეორე სათათბირომ ეს გეგმა ისარგებლა. ძველი მთავრობა სცდილობდა, მეორე სათათბირო კონსტიტუციალურ გზიდან გადაეყვანა შემდეგ დაეთხოვა იგი და გამოეცხადებინა, რომ რუსეთი საკონსტიტუციო ცხოვრებისათვის მზად არ არისო; მაგრამ მეორე სათათბირო არ შედრკა. ამით მთავრობა შეშინდა და სათათბირო დაითხოვა. შეჰქმნეს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ცნობილი პროცესი და მესამე სათათბიროც დაითხოვეს. ათი წლის კატორღა და გაძევება—აი ის ჯილდო, რაც ჩვენმა მემარცხენე ამხანაგებმა მიიღეს რუსეთის ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის (ძლიერი ტაში ოვაციებად იქცა. ყველა ფეხზე წამოდგა და წერეთელს მიესალმნენ, ზოგი მას ხელს ართმევს. კერენსკი მივიდა და აკოცა). გოლოვინი მიესალმა მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წევრებს (ოვაციები). რაც პირველმა სათათბირომ დათესა იმან კარგი მოსავალი მოგვცა, ღმერთმა ჰქმნას, რომ დროებითმა მთავრობამ კარგად მოუაროს ამ მოსავალს და დამფუძნებელმა კრებამ კიდევ სამართლიანად გაანაწილოს, რომ აღარ იყოს რუსეთში არც მშიერი და არც დაჩაგრული (ტაში).

როძიანკოს წინადადებით ყრილობა ახალ მოკავშირეს, შეერთებულ შტატებს მიესალმა.

მინისტრთა თავმჯდომარე **თავადი ლვოვი** დროებით მთავრობის სახელით მიესალმა ყრილობას, მიულოცა თავისუფლება და მოკლედ დაახასიათა ახლანდელი მომენტი. თავის 72 დღის მოღვაწეობით პირველმა სათათბირომ ხალხის წარმომადგენელთა საქმეს მაგარი საფუძველი ჩაუყარაო. რუსის ხალხის სული მსოფლიო დემოკრატიული სული გამოდგება. იგს მზად არის არა თუ შეუერთდეს მსოფლიო დემოკრატიას, არამედ მას სათავეშიც ჩაუდგესო. შემდეგ ილაპარაკა **ნაბაკოვმა** და მურომცევთან ერთად პეტრაშევსკისაც მოაგონა.

ვინავერი. ვით დევნილნი სამშობლოში დაბრუნებულნი, ისე დავუბრუნდით დღეს ამ ტრიბუნას. 72 დღე ვქმნიდით სახელმწიფო საქმეებს. პირველ სათათბიროს ზოგი „ხალხის რისხვის“ სათათბიროს უწოდებს, ზოგი კიდევ „იმედთა სათათბიროს!“ ვინავერმა მოკლედ დაახასიათა პირველი სამი სათათბირო.

გუჩკოვმა ილაპარაკა თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, დაახასიათა იგი და საზოგადოებას შეერთიანებისაკენ მოუწოდებს, „სამშობლო განსაცდელშიაო“.

შულგინმა ილაპარაკა სათათბიროს ზომიერ ჯგუფის სახელით. დასაწყისში ჩვენს ჯგუფს სათათბირო არ მოსწონდა და ემტერებოდა კიდეც, მაგრამ შემდეგ დრომებმა დაგვიმტკიცა მისი საჭიროება. ჩვენ შეგვიყვარდა სათათბიროო.

საჭიროა დროებით მთავრობის ნდობა, თორემ იგი, მართალია ძველ მთავრობასავით პეტრე-პავლეს ციხეში არა ზის, მაგრამ „შინ“ კი არის დატუსაღებულიო.

კაკი წერეთლის სიტყვა

შულგინის შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა წერეთელი, რომელსაც სათათბირო ოვაციით ეგებება. (სიტყვის დასაწყისი სააგენტოს ჯერ არ გადმოუცია). „როდესაც თვალს გადაავლებთ ოთხ სათათბიროს მოღვაწეობას მათს მოქმედებაში ერთს საერთო თვისებას ვამჩნევთ: ეს გახლავთ უილაჯობა და სრული უმწეობა სახელმწიფოებრივობის მშვენებლობისა. შულგინმა ამ უილაჯობის მიზეზად ჩასთვალა უთანხმოებანი და კინკლაობა. დიაღ, სათათბიროში იყო უთანხმოება და შეჯახება, რაც მთელს სახელმწიფოშიაც იწვევდა უთანხმოებას და სწორედ ეს უთანხმოებანი იყო მიზეზი წინანდელ სარევოლიუციო მისწრაფებათა მარცხისა. მაგრამ სათათბიროს მემარცხენე ნაწილი, წარმომადგენელი პროლეტარიატისა და რევოლუციონურ გლეხობისა შესძლებდა ხოლმე კლასობრივ ინტერესთა შეფარდებას საზოგადო პოლიტიკურ პლატფორმასთან. დღეს რუსეთის რევოლიუციის ბრწყინვაზე გამოაშკარავდა, რომ ეს პლათფორმა ყოფილა ერთად-ერთი პლატფორმა რომლის გარშემოც მთელი ქვეყნის ცოცხალი ძალა თავს იყრის. რუსეთის რევოლიუციის ბედი იმაზეა დამოკიდებული, შეიგნებენ თუ არა შეძლე კლასები, რომ ეს ხალხის საერთო პლატფორმა ნიშანდობლივ პროლეტარიატის პლატფორმაა, და ამ საერთო დემოკრატიულ პლატფორმის, პირობები უკვე მომწიფებულია, მაგრამ პროლეტარიატი თავის საბოლოო მისწრაფების განხორციელებას ეხლავე არ შეუდგება. შესძლებენ თუ არა შეძლებული კლასები ავიდნენ ამ სიმაღლემდე და თავისი ვიწრო ჯგუფური ინტერესები საერთო დემოკრატიულ პლატფორმას დაუმორჩილონ? (ძლიერი ტაში).

დეპუტატმა შულგინმა გაიხსენა, თუ როგორი შეკითხვებით მიჰმართავდნენ ხოლმე შტიურმერს და ეკითხებოდნენ: სულელობაა ეს თუ ღალატიო. შულგინიც კითხვებს აყენებს. შულგინის კითხვაზე უპასუხებენ: ინგლისი ჩვენი მტერია. ინგლისი რუსეთის რევოლიუციას აფერხებსო. რა არის ეს სულელობაა თუ ღალატი? ასეთი ქადაგება არსად მსმენია. მე მსმენია ქადაგება, რომელსაც აწარმოებს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. იგი მთელი ქვეყნის ერებისადმი მიმართულ მოწოდებაში ამბობს: ინგლისი—ეს ინგლისის ხალხია. შეუძლებელია ინგლისის ხალხი იმავე დროშის ქვეშ არ დადგეს, როგორც რუსის ხალხი (ტაში საზოგადოებისა) და იგი ინგლისის ხალხს მოუწოდებს რუსეთის და მთელი ქვეყნის ერებთან ერთად საერთო ძალით იმპერიალიზმის ბორკილები დაამსხვრიონ. მე ვეკითხები შულგინს: როდესაც იგი სცდილობს მთელი ინგლისის ხალხი იმპერიალისტურ წრედ ჩასთვალოს, როდესაც იმპერიალისტურ წრეების წინააღმდეგ მიმართულს ქადაგებას მთელი ინგლისის ხალხის წინააღმდეგ მიმართულ ქადაგებად ჰნათლავს, ეს სულელობაა თუ ღალატი? (ძლიერი ტაში საზოგადოებისა). მოგახსენებთ, რომ შულგინის მტკიცება კვალიფიკაციაა. მოგახსენებთ, რომ ეს არც სულელობაა, არც ღალატი, ეს გახლავთ კლასობრივი ვიწრო აზროვნება, რომელიც ჰღუპავდა რუსეთს და დაჰღუპავს ეხლაც, თუ შულგინის აზრი მთელი რუსეთის აზრად იქცა. (გრონსკი ადგილიდან: „მინისტრი გენდერსონი?“.

წერეთელი: „მინისტრ გენდერსონს გვერდით არიან სოციალისტები, რომელთაც გენდერსონის მოქმედება შეცდომად მიაჩნიათ. ჩვენ ღრმესად გვრწამს, რომ ინგლისის მუშათა კლასი თავისი მინისტრების პოლიტიკას კლასობრივ აზროვნების გზით მიჰმართავენ (ტაში საზოგადოებისა).

შულგინი გვეკითხებოდა: როდესაც სოფლად ჰგზავნით მქადაგებელს, რომელნიც ხალხს ურჩევენ უწესობასა და მემამულეთა მიწების ჩამორთმევას, ეს სულელობაა თუ ღალატიო? მაგრამ მოეხსენება თუ არა შულგინს, რომ იგი ილაშქრებს იმ ერთად-ერთ სანდო დემოკრატიულ ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელმაც ეხლახან მიიღო დადგენილებანი მიწის საკითხზე, მთელი დემოკრატიისა და გლეხობის სურვილის მიხედვით ამ ორგანიზაციის გაგზავნილი მოქადაგენი ამბობენ: თუ მძიმე განცდის წელს, თავის კლასობრივ ინტერესების გულისთვის მემამულენი მიწის მოხვნა-მოთესვას მოერიდებიან, დაუყოვნებლივ ისარგებლეთ მიწით მთელი ხალხისა და ჯარისათვის, და ის საქმი მოაწყეთ ორგანიზაციულად დროებითი მთავრობის წინააღმდეგ კი არა, არამედ მასთან და დემოკრატიასთან შეთანხმებით (ტაში). მემამულეთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციის საკითხი ძირითადი საკითხია, რომელიც დიდი ხანია მთელს რუსეთს მღელვარებაში ამყოფებს. ამისათვის დამფუძნებელმა კრებამ, მთელი რუსეთის ინტერესების გულისთვის. უნდა გააუქმოს მიწათმფლობელობის ეს წესი, რომელიც ქვეყანას შიმშილის საფრთხეში აგდებს. და სწორედ დამფუძნებელმა კრებამ უნდა მოახდინოს ეს ორგანიზაციულ წესით, რადგანაც ძალა-უფლება მთელ ხალხს ეკუთვნის და მთელმა ხალხმა უნდა განახორციელოს იგი (ტაში). თქვენ ბრძანებთ, ჯარში შუღლსა და რღვევას სთესენო. სათათბიროს თავმჯდომარეც გადმოგვცემდათ ჯარიდან მიღებულ გავრცელებულ ხმებს, ვითომც იქ უკვე რღვევა დაიწყო. (ხმები: „მართალია“). მართალია ის, რომ თავმჯდომარემ ეს განაცხადა, მაგრამ მართალია ისიც, რომ მან დაუმატა, ეს ხმები არა მჯერაო. არც ჩვენა გვჯერა (ტაში).

ომის საკითხი ეხლა ისეა დაყენებული, რომ თუ ჯარში მართლაც დაწყებულია რღვევა და დემოკრატიულ პრინციპის გამარჯვებისას, საგარეო პოლიტიკის საქმეში ჯარი რომ ნაკლებ ბრძოლის უნარიანი გამომდგარიყო, ვიდრე ძველი მთავრობის დროს, მაშინ, მთელ რუსეთს, ჯვარი დაესმოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს მართალი არ გამოდგა (ტაში). რუსეთის დემოკრატია, სანამ ჩვენს ქვეყანას ემუქრება შემოსეული იმპერიალისტური ჯარი, თავისი მკერდით გამოესარჩლება თავისუფლებას და შეუძლებელია ჯარში რყევა დაიწყოს მაშინ, როდესაც მას შეგნებული აქვს, რომ მხოლოდ მთელი ხალხის არსებობის გულისათვის ავალებენ მას თოფქვეშ ყოფნას (ტაში). ერთად ერთი საშუალება ჯარში რღვევისა და არეულობის შესატანად გახლავთ ის, თუ მას ეტყვით: დიაღ, ხალხმა თავისუფლება მოიპოვა, ხალხს ჰსურს ეს თავისუფლება შეინარჩუნოს, ჰსურს დაიცვას თავისი მიწა და ასეთივე მოძრაობა შეჰქმნას სხვა ქვეყნების ხალხშიაც; მაგრამ ჩვენ, რუსეთის ბურჟუაზია, დროებითს მთავრობას მოვთხოვთ, აღადგინოს ძველი მისწრაფებანი იმავე ფორმულით, რასაც მიზნად ისახავდა ცარიზმი—„ყველაფერი ომისათვის“, სხვისი ქვეყნის მილიტარიზმის შემუსვრა იარაღით, ეს უკეთესი საშუალებაა ჩვენს ქვეყანაში იმპერიალიზმისა და ბარბაროსობისაგან თავის დასაღწევადაო (ტაში). ლოზუნგი „ყველაფერი ომისათვის“ ძველი თვითმპყრობელობის ლოზუნგი იყო, რომლისათვისაც ომი გახლდათ. მიზანიც და საშუალებაც (ხმები: „ინგლისში და საფრანგეთში?“) ხალხი სხვაა, იმპერიალისტური წრეები სხვა. და თქვენ მალე იხილავთ ამის დამადასტურებელ ისეთსავე საუცხოვო საბუთებს, როგორსაც რუსეთში იხილეთ ეხლა განა ომის დაწყებისას საზღვარ გარედ გაგზავნილი წარმომადგენელნი სათათბიროს წევრნი არ აცხადებდნენ, რომ მეფე და ხალხი ერთი და იგივეაო? ეხლა რა ჰნახეთ ერთი და იგივეა?

(დასასრული ჯერ არ გადმოუცია სააგენტოს)

გაზეთებიდან.

კოალიციონური სამინისტრო.

„რუსკოე სლოვოში“ მოთავსებულია პოლიტიკურ მოღვაწეთა აზრი კოალიციონურ სამინისტროს პროექტის შესახებ. მაკლაკოვი ამ პროექტის თანახმაა. ეს უფრო ნორმალური იქნება, ვიდრე დღევანდელი წყობილება. მთავრობა, რომელიც მუშათასაბჭოსაგან არ არის მოწვეული, იმ დრომდე იარსებებს, სანამ იგი ისე იმოქმედებს, როგორც საბჭოსა სურს. მაგრამ არ უნდა გავაზვიადოთ ამ გვარი შეცვლის მნიშვნელობა.

რუსეთი გადარჩენილი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხალხი გაიგებს, რომ რევოლიუცია დამთავრდა და დადგა დრო რეფორმებისა. თუ ხალხი ამას ვერ გაიგებს და იმათ გაჰყვება, ვისაც იგი უფრო შორს მიჰყავს, რუსეთის უზრუნველყოფა უფრო გვიან მაშინ დაიწყობა, როდესაც ცხოვრების გაკვეთილები ხალხს იმ დამღუპველ გზას უჩვენებს, რომლითაც იგი მიჰყავთ, მაგრამ ამ გაკვეთილებისათვის რუსეთი ისე დაისჯება, რომ იქნებ წყევლა-კრულვით მოიხსენიოს ის რევოლიუცია, რომელიც მან დღეს დიდი სიხარულით მიიღო. საკითხი იმაშია, თუ როდის შეიგნებს ხალხი ამას“. თუ კოალიციონური სამინისტრო ამას ხელს შეუწყობს, მაკლაკოვი სიხარულით მიეგებება კოალიციონურ სამინისტროს დაარსებას.

აჯემოვის აზრით როცა კოალიციონურ სამინისტროში აღმასრულებელი კომიტეტის გავლენიანი პირები შევლენ, კომიტეტში სახელმძღვანელო როლი პერმანენტური (განუწყვეტელი) რევოლუციის მომხრეთ — ბოლშევიკებს ჩაუვარდებათ. ოპოზიცია ყოველგვარ მთავრობის წინააღმდეგია. მისი თვისებაა რუსის ხალხის იქამდე მიყვანა, რომ მომავალში მოძრაობის წინამძღოლნი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კოალიციონურ სამინისტროს წინააღმდეგ დააყენებენ და ამითი, სახელმწიფოებრივი იდეა გაიმარჯვებს თუ არა საეჭვოა. საკითხის ცენტრი კოალიციონურ სამინისტროში კი არ არის, არამედ მართველობის ტაქტიკის გარდაქმნაშია. ცარიელი სიტყვა ცოტაა, საჭიროა მოქმედება.

მილიუკოვის დახასიათება

დროებით მთავრობისა და მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს შორის უთანხმოების შესახებ სოციალისტ-რევოლიუციონერთა გაზეთი „დელო ნაროდა“ სწერს: „ჩვენა ვკითხულობთ: რომელს დაუჭიროთ მხარი? დროებით მთავრობას, რომელმაც მარტის 28 განცხადებაში უარჰყო ყოველგვარი იმპერიალისტური მიმართულება? თუ ბ. მილიუკოვს, რომელსაც სურს უდიდეს რევოლიუციას უხელმძღვანელოს თავისი „პირადი აზრისა“ და დაპყრობითი პოლიტიკის მიხედვით?

ჩვენ მხარს ვუჭერთ დროებით მთავრობას და წინააღმდეგნი ვართ მილიუკოვისა, რომელიც დოქტრინობაში იქამდე იჩიჩებს, ვიდრე მას ისტორია კარებს არ უჩვენებს.

ეროვნული საკითხი

(დეპეშა)

უკრაინა

პეტროგრადი. აპრილის 26, უკრაინელ ყრილობის წარმომადგენლებმა გადასცეს ლვოვს ყრილობის გადაწყვეტილება და დეკლარაცია. უკრაინელები მოითხოვენ, პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატთა საბჭოს გარდაქმნას სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოდ. რეზოლიუციაში აღნიშნულია უკრაინელ ჯარის ორგანიზაციაც.

პოლონელთა ყრილობა

პეტროგრადი. აპრილის 25-ს, ბრძოლის ველზე და ზურგის მხარეს მყოფ პოლონელ მეომართა ყრილობა 25 აპრილს უნდა მომხდარიყო პეტროგრადში, მაგრამ დამოუკიდებელ მიზეზთა გამო გადაიდო. ყრილობის დღე გამოცხადდება.

ომი და ზავი

დეპეშები

მთავარ. შტაბის ცნობა

პეტროგრადი. დასავლეთის და რუმინეთის ასპარეზი. 28 აპრილი. დასავლეთის და რუმინეთის ასპარეზზე ჩვეულებრივი სროლა და ზვერვაა.

კავკასიის ასპარეზი.

მესაკკიზის მიდამოებში ქურთებმა სცადეს ჩვენი დარაჯების ხელში ჩაგდება, მაგრამ დროზე შევამჩნიეთ, ნაწილი გავაწყვიტეთ, ნაწილი გავფანტეთ. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე სროლაა.

საფრანგეთის ცნობა.

პარიზი. 27 აპრილი. დღის ოფიციალი ცნობა. შმენ-დე-დამის მთის ვაკეში მოპირდაპირემ რამდენჯერმე სუსტი იერიში მოიტანა. უფრო მედგარი იერიშით წამოვიდა იგი შევროს მიდამოებში, მაგრამ უშედეგოდ. აქ ხელთ ვიგდეთ მტრის გამაგრებული ადგილი, ერთი ტყვიისმფრქვეველი და ტყვეები. ვეკლერის მთის ჩრდილოეთ ფერდობზე დავატყვევეთ გერმანელების ახალი დივიზიის მეომარნი. „108“ მაღლობის აღმოსავლეთით, აგრეთვე ბეზენვოს ჩრდილოეთით და მეტცერალის მიდამოებში მძვინვარეა შებმა და ხელის ყუმბარებით ბრძოლაა.

საფრენის ჩამოგდება.

პარიზი. 26 აპრილს, გერმანელების 2 ცეცხლმოდებული საფრენი ჩამოვაგდეთ.

გემების დაღუპვა.

ლონდონი. აპრილის 26. საადმირალო იტყობინება: ერთი კვირის განმავლობაში დაიღუპა ინგლისის 24 გემი, თითო 128 ათას ფუთის მტვირთველი, 22 გემი მათზე ნაკლების მტვირთველი და 16 სამეზადურო გემი. სულ 60 გემი. გარემოცვის მინისტრმა სესილმა განაცხადა, საბუთი არა გვაქვს გერმანელების წყალქვეშათა მექარით შევფიქრიანდეთ, რადგანაც ისინი გერმანიეთს ვერ მოუპოვებენ გამარჯვებასაო.

ინგლისის ცნობა.

ლონდონი. აპრილის 26. ოფიც. ცნობა. საფრანგეთში, ბიულკურისა, ვარკურისა და არლეს ჩრდილოეთით, აგრეთვე სენ-კანტენის ჩრდილო-დასავლეთით შესამჩნევი სროლაა ზარბაზნებისა.

თავდასხმის მოლოდინში

ოდესა. აპრილის 24. ხმა გავრცელდა, მტერი შეიძლება ხან-გამოშვებით ოდესას თავს დაეცეს ხოლმეო. ამიტომ გრადონაჩალნიკმა მოწოდება გამოსცა. წინასწარი ზომები მიღებულია. ხალხი გაფრთხილებულია.

გაზეთებიდან

ზავის გარშემო.

ზავის საკითხს „ნოვ. ვრემია“ მეთაურ წერილს უძღვნის. იგი ეხება მუშათა დეპუტატების საბჭოს მოწოდებას გერმანელ სოციალ დემოკრატების მიმართ და ამბობს: „მუშათა გაზეთი“ სცდილობს გაარკვიოს, თუ სინამდვილეში როგორ უნდა მოეწყოს ზავზე მოლაპარაკება და სწერს:

„დანიშნულ დღესა და საათს ყველა ასპარეზებზე შეჩერდება სამხედრო მოქმედება, ზღვაზე კი მდგომარეობა არ შეიცვლება“.

ყოველს ოლქს უფლება აქვს განაცხადოს, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შედგენა ჰსურს.

ყოველ მებრძოლ სახელმწიფოს უფლება აქვს მომიჯნავე ოლქის დაჩემება მოისუროს. ამ შემთხვევაში განსაზღვრულ დროს საყოველთაო, პირდაპირ და ფარულის კენჭის ყრით გადასწყდება საკითხი ადგილობრივ მკვიდრთა ორივე მხრის წარმომადგენლების თანადასწრებით.

დაზარალებულ ადგილების აღსადგენად უნდა დაარსდეს დემოკრატიულ კონტრიბუციის ფონდი. ამ ფონდის შედგენაში მებრძოლი სახელმწიფონი მონაწილეობენ პროპორციულად. იმის დამიხედვით, თუ რაოდენია სამხედრო ხარჯი.

თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალშენების საკითხი დემოკრატიულად გადაწყდეს, მაგრამ ამ საკითხის მოხსნაც შეიძლება, თუ კი იგი სამშვიდობო კონფერენციის მოწვევას ხელს შეუშლის.

უკანასკნელი დეპეშები

პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოში დაადგინეს, მოიწვიონ სოციალისტთა კონფერენცია. ამის წინააღმდეგ ბოლშევიკებმა გაილაშქრეს. პასუხი გასცა წერეთელმა: ჩვენ კავშირი გავწყვიტეთ იმპერიალიზმთან და ჩვენი მთავრობა ვაიძულეთ დაპყრობითი მისწრაფებაზე ხელი აელო. ინგლისისა, საფრანგეთისა და გერმანიის სოციალდემოკრატთა უმცირესობა უმრავლესობად იქცევა და მათ მთავრობათაგან წამოყენებულ ზავის პირობებზე ხელს აიღებენ. ეს იქნება ხანა მსოფლიო ისტორიის მოტრიალებისა.

—

მოსკოვიდან დეპეშით იტყობინებიან: ოქტომბრისტებმა გადასწყვიტეს, დამფუძნებელ კრების არჩევნებში კადეტებს მიემხრონ.

—

მოსკოვიდან იტყობინებიან: სოციალ-დემოკრატების წრეებში განზრახულია საზღვარ გარედ მოკავშირეებთან გაიგზავნოს საგანგებო დელეგაცია, რომელიც საზღვარგარეთელ ამხანაგებთან ერთად შეიმუშავებენ საზავო პირობებს.

რედაქციისაგან

თამარობის გამო „საქართველოს“ შემდეგი ნომერი ოთხშაბათს, 3 მაისს გამოვა.

ქრონიკა

კავკასია

◆ **მოწოდება მოსწავლე ახალგაზრდობისადმი.** ამიერ კავკასიის სოფლის დაიხმარე კომიტეტი, რომელიც არჩეულია ქართულ, სომხურ და კავკასიის სამეურნეო საზოგადოებების მიერ გულმხურვალედ მოუწოდებს მოსწავლე ახალგაზრდობას სოფელს დაეხმაროს. სოფელს მუშა ხელი აკლია, აკლია ცოდნა და სამეურნეო იარაღი, სოფელი გასაჭირშია; თუ სოფელს არ უშველეს, 1918 წელს სიმშილი მოელის. კომიტეტი სთხოვს ახალგაზრდობას, ზაფხულის უქმად გატარების ნაცვლად დაეხმარნენ სოფელს. საჭირო ცნობების მიღება და მოსწავლეთა რაზმში ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიატინსკის ქუჩა, № 5.

◆ **გლეხთა დელეგატების კრება.** ამიერ-კავკასიის გლეხთა დელეგატების მოსაწვევად საერთო ყრილობაზე საორგანიზაციო ბიურომ უკვე დაგზავნა ბარათები ქართულსა, რუსულსა, თურქულსა და სომხურ ენებზე.

◆ **ჯარის კაცნი და სოფლის მეურნეობა.** კავკასიის მხედრობის შტაბის უფროსმა აუწყა ქალაქთა კავშირს, რომ მხოლოდ ის ჯარის კაცები იქნებიან თავიანთ სახლებში დათხოვნილნი სამუშაოდ, რომელნიც 1898 წელს არიან ჯარში გაყვანილნი და დათხოვნის დროს 40 შეუსრულდებათ.

◆ **სამხედრო სანიტარო უწყების დელეგატების** კრება დაიწყო აპრილის 28-ს თბილისში. გამოცხადდა 300-ზე მეტი დელეგატი. კრება გახსნა პროფესორმა მარტინოვსკიმ. კრებაზე მივიდა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ა. ხარლამოვი და მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ არჩეულ იქმნა კრების პრეზიდიუმი.

◆ **ვანის ამბები.** სომხეთა ცენტრალ კომიტეტის რწმუნებულმა ოჰანჯანიანმა ვანიდან დეპეშა მიიღო: „აქ მშვიდობიანობაა. ნუ დაიჯერებთ ხმებს ვანის დაცლის თაობაზე“.

საქართველო

◆ **მიხეილ კავსაძის გუნდის კონცერტები.** ძმ. კავსაძენი ამ მოკლე ხანში აპირებენ სასულიერო და საერო კონცერტების გამართვას. პროგრამაში იქნება 3 განყოფილება: 1) მარსელიოზა და რევოლიუციონური სიმღერები, 2) წმინდა ევროპიული კილოები და 3) საქართველოს ყველა კუთხის ხალხური ორიგინალი სიმღერები. საეკლესიო გალობის ლოტბარად გუნდში მოწვეულია ახალგაზდა, მცოდნე 3 ხმოვან ქართლ-კახურ გალობისა ბ. მიხეილ მოლოდინაშვილი, რომლის ხელმძღვანელობითაც გაიმართება სასულიერო კონცერტი. გუნდი შევსებული იქნება საუკეთესო ძალებით და ზაფხულის თვეებშიც ამავე პროგრამით საქართველოს დაბა-ქალაქებში იმოგზაურებს.

◆ **თბ. ეპარქიის სამრევლო სკოლების** მასწავლებელთა დელეგატების კრება თბილისში დანიშნულია 5 მაისს. განსახილველია: 1) სადღეისო მომენტი, 2) არჩევა დროებითის კომისიის, რომელსაც დაევალება სკოლების გამგებლობა, 3) მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება, 4) სკოლების გაერთიანების პრინციპის გარჩევა და სხვა. დელეგატები აირჩევა ადგილობრივ სამოსწავლო რაიონში ათ კაცზე ერთი. დელეგატებს ექნებათ ბინა საეპარქიო საქალებო სასწავლებლებში (ანდრეევის ქუჩა) და მიეცემათ უსასყიდლოთ შაქარი. დელეგატები უნდა გამოცხადნენ თბილისში 4 მაისს ქ. ზ. წ. კ. გ. საზ. კანცელარიაში (სასახ. ქუჩა) ვარლამ ბურჯანაძესთან.

◆ **ეროვნებათა წარმომადგენელთა თათბირში,** რომელიც ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტთან არსებობს, მიწვეულ იქნება 7 რუსიც, პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელნი. ჯერ-ჯერობით მიწვეულ იქმნებიან: ფ. ნ. ლებედევი და მ. ნ. ავდეევი.

◆ **ჩხეიძე და წერეთელი.** მოსკოვიდან ცნობაა: კოალიციურ მთავრობის წევრებად სოციალ-დემოკ. მეუმცირესენი ასახელებენ კარლო ჩხეიძეს და კაკი წერეთელსაო. პირველს მიენდობა ჯარისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება, მეორეს შრომის სამინისტრო.

◆ **სადგილ-მამულო კომისიაში,** რომელიც ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტთან დაარსდა, წევრებად შედიან: ა. ვ. ნერუჩევი (სოც.-რევოლ.) ა. ს. ფირალოვი (კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი), პ. პ. გელეიშვილი და ექიმი ვექილოვი.

თბილისი.

◆ **თამარობა.** ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი, მოსაყდრე სრულიად საქართველოის ქათალიკოს-პატრიარქისა დღეს საღმრთო ლიტურღიას შეასრულებს სიონის საკათედრო ტაძარში, ხოლო ხვალ, 1 მაისს, წმ. თამარ მეფის ხსენების დღეს, — დიდუბის ღვთისმშობლის ტაძარში, სადაც თანამწირველნი იქნებიან ყოვლად უსამღვდელოესნი გიორგი ეპისკოპოსი იმერეთისა და ანტონი, ეპისკოპოსი გორისა.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** განათლების მინისტრმა დროებით მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი იმის შესახებ, რომ მომავალი წლიდგან თბილისში საპოლიტეხნიკო ინსტიტუტი გაიხსნას სამეურნეო, საქიმიო, საგიდრო, მექანიკო და საეკონომიო ფაკულტეტებით ინსტიტუტში ქალებსაც მიიღებენ.

◆ **თბილისის ქალთა უმაღლესი კურსები.** აპრილის 26 მსმენელთა საორგანიზაციო კომიტეტის კრება იყო. განხილულ იყო საკითხი შრომის ბეგრის შემოღებისა და ამ მიზეზით სწავლის შეწყვეტის შესახებ. კრებამ შემდეგი დადგენილება მიიღო: ვინაიდან მოქალაქობრივი შეგნება მოითხოვს ფართე საზოგადოების მომზადებას დამფუძნებელ კრებისათვის ყოველი მსმენელი ქალის მოვალეობაა— მიიღოს შრომა ამ დიდი საქმისათვის და მსმენელთა შორის პროპაგანდა გასწიოს. კვირას, ნაშუადღევის 5 საათზე დანიშნულია მსმენელ ქალთა საერთო კრება ამავე საკითხის განსახილველად.

◆ **ფოსტის გაძარცვის გამო.** დატუსაღებულმა ალი ზადემ, რომელსაც თბილისის ფოსტის გაძარცვაში მონაწილეობა ჰბრალდება, თავისი თავი დამნაშავედ სცნო და თავისი ამხანაგებიც დაასახელა. ეს უკანასკნელნი ჯერ ვერ უპოვნიათ. მუშათა დეპუტატების საბჭო სთხოვს თბილისის გაზეთებს, რომ ფოსტის გაძარცვის შესახებ გარდა იმ ცნობებისა, რომლებსაც საბჭო მიაწოდებს მათ, სხვა ცნობები ჯერჯერობით არ დაბეჭდონ.

◆ **ვაჭარ-მრეწველთა ორგანიზაცია.** გადაწყვეტილია მოეწყოს თბილისის გუბერნიის ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტი, რომელშიაც წარმომადგენლებად შედიან ყველა დარგის ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენელნი. დღეს, 30 აპრილს, წარმომადგენლებს კრება ექნებათ გამგეობის ასარჩევად. ეს კომიტეტი წევრად შევა მთელ რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა კავშირში.

◆ **სკოლების ნაციონალიზაცია.** თბილისის ყველა ტიპების სასწავლებელთა მასწავლებლების დელეგატთა კრებამ 28 აპრილის კრებაზე დაადგინა: მომავალ ენკენისთვიდანვე განხორციელდეს სკოლების ნაციონალიზაცია.

◆ **ცენტრალური შემთანხმებელი კამერა.** მუშათა დეპუტატ. საბჭოსთან არსებულმა მუშათა კომისიამ ცენტრალურ შემთანხმებელ კამერისათვის შემდეგი კანდიდატები დაასახელა: მიკირტუმოვი, შვარცი, კახიანი, ნაცვლიშვილი, ასოთ-ამწყობი ბ. ჯიბლაძე, ს. ჯიბლაძე, აივაზოვი, ბადრიძე და არსენიძე.

◆ **ფერშალთა და ბებია ქალთა** ყრილობამ შემდეგი დაადგინა: 1) სიტყვა „ფერშალი“ მოისპოს და მის ნაცვლად ხმარებულ იქმნას ექიმის თანაშემწე“, 2) უფლება მიეცეთ ფელდშერებს აასრულონ კანონიერად ის, რასაც დღეს ფაქტიურად ასრულებენ. 3) ჯამაგირები დაწესდეს ფელშერებისათვის ორი მესამედი ექიმის ჯამაგირისა იქ, რომელ დაწესებულებაშიც მსახურობენ. 4) საფერშლო სკოლები ექიმის თანაშემწის ინსტიტუტად გადაკეთდეს იმ პროგრამით, რომ იქ გათავებულებს უფლება ჰქონდეთ უმაღლეს საექიმო სასწავლებელში შესვლისა. მხოლოდ ინსტიტუტ-გათავებული მოვალე უნდა იყოს 3 წელიწადი იმსახუროს ექიმის თანაშემწედ. 5) ასეთივე აზრები გამოითქვა საბებიო ინსტიტუტზედაც.

◆ **თბილისის კომენდანტმა** სლივიცკიმ დაატუსაღა უნტერ-ოფიცერი სომეხთა მე-3 მსროლელ პოლკისა არმენაკ ოვიანი, რომელიც თავის თავს პოდპორუჩიკ მკრტიჩ ვართანიანს უწოდებდა და ოფიცრის ფორმით იყო გამოწყობილი.

◆ **მასპინძლობა.** ბრძოლის ველიდან თბილისში ჩამოსულ სამხედრო დელეგატების პატივსაცემლად ქალაქის თვითმართველობა მართავს დღესასწაულს, რომლის მოსაწყობად ქალაქის გამგეობა იწვევს მხატვრებს, მემუსიკეთ, არტისტებს, ხუროთ-მოძღვრებს, ორატორებს, მომღერლებს, მოცეკვავეთ, მოჭიდავეთ და სხ. სხვათა შორის მიწვეულია მ. კავსაძის მომღერალთა გუნდი.

◆ **ქალთა კრება.** დღეს, 30 აპრილს, 11-ნახ. საათზე, ხელოსანთა კლუბში დანიშნულია თბილისის ქალთა ორგანიზაციის ცენტრალი ბიუროს კრება, განურჩევლად ეროვნებისა, მიმართულებისა და მდგომარეობისა.

◆ **სახალხო სკოლების მართვა-გამგეობა.** მასწავლებელთა კავშირის საგანგებო კომისია უკვე შეუდგა თბილისსა და თბილისის გუბერნიაში სახალხო სკოლების მართვა-გამგეობას. ვისაც კომისიასთან რაიმე საქმე აქვს, უნდა მიჰმართოს მას თბილისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, საქალაქო პირველდაწყებით სკოლაში.

◆ **ჯარისკაცთა სკოლები.** მე-218-ტე პოლკიდან ბევრი ჯარისკაცი ბრძოლის ველზე წავიდა. ამის გამო პოლკის სკოლებში ბევრი თავისუფალი ვაკანსია არის. წერა-კითხვის ცოდნის და საერთო განვითარების მსურველ ჯარისკაცებს შეუძლიათ ყოველ დღე ჩაეწერონ სკოლაში. როგორც უკვე გამოცხადებული იყო, ამ სკოლებში სწავლება ყველა ადგილობრივ ენებზე სწარმოებს, მათს შორის ქართულზედაც. მსურველებმა უნდა მიმართონ პოლკის საორგანიზაციო კომიტეტს ავლაბარში, სამეგრელოს პოლკის ყაზარმაში.

◆ **ვარლამ რუხაძის სტამბაში** დაიბეჭდა ქართველ ქალთა საზოგადოების გამოცემა „თამარ მეფე“, თხზულება მ. გ. ჯანაშვილისა. გასაყიდად მზათ იქნება თამარობას, 1-ელ მაისს.

◆ **ჟურნალისტთა კრება.** თბილისის ჟურნალისტთა კრება დანიშნულია დღეს, აპრილის 30-ს, დილის 11 ნახ. საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში.

◆ **ექ. ვ. ღამბაშიძის სამსახურიდან გადადგომის შესახებ.** გუშინდელ თბილისის ზოგიერთ გაზეთებში მოთავსებული იყო, რომ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ სამსახურში დაუდევრობისათვის თანამდებობიდან გადააყენა განმანაწილებელ პუნქტის უფროსი ექიმი ვ. ღამბაშიძეო. ნამდვილად საქმის ვითარება ასეთია: ექ ღამბაშიძემ რამდენისამე ხნის წინად დასაბუთებული მოხსენება წარადგინა ქალაქთა კავშირის თბილისის ქალაქის კომიტეტში, რომ განმანაწილებელ პუნქტში ისეთი პირობებია შექმნილი, რომ სამსახური არ შეიძლიან და თანამდებობისაგან განმათავისუფლეთო. აპრილის 14-ს ეს მოხსენება განიხილა კომიტეტმა და დაადგინა: სთხოვოს ექ. ღამბაშიძეს, რომ 2 კვირას კიდევ დარჩეს პუნქტში, სანამ კომიტეტი მის სამაგიერო კაცს მონახავდეს, აპრილის 16-ს ექ. ღამბაშიძემ კომიტეტს განუცხადა, რომ 2 კვირა უკვე გავიდა და თანამდებობას ვტოვებო.

◆ **თბ. გუბერნიის სახალხო სკოლების** დროებითი გამგე კომისსია თავის მოვალეობათა ასრულებას შეუდგა და სთხოვს აღნიშნულ სკოლების მასწავლებლებს მას მიჰმართონ ხოლმე. თბილისი, ჭავჭავაძის ქუჩა, საქალაქო, პირველ-დაწყებითი სასწავლებელი.

◆ **ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტთან** არსებულ სათათბიროში, როგორც ვიცით, წევრებად შედიან: 7 ქართველი, 7 მუსულმანი და 7 სომეხი. ეხლა დადგენილ იქმნა, რომ რუსების მხრივაც 7 კაცი შედიოდეს ამ სათათბიროში, ჯერ-ჯერობით რუსთაგან 2 კაცია არჩეული: ავდეევი და ლებედევი.

◆ **სახალხო სახლი.** ორშაბათს, 8 მაისს ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ოქტავ მირბოს რევოლიუციონური პიესა ჟან და მადლენა.

◆ **პოლკოვნიკ ზდანოვსკის,** თბილისის ნაპოლიციმეისტერს, რომელიც სატუსაღოდან გაანთავისუფლეს, თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა ნება მისცა 7 მაისამდე დარჩეს თბილისში თავის საქმეების მოსაწყობად; შემდეგ კი თბილისი და მთელი კავკასია უნდა დასტოვოს.

◆ **კვირას 30 აპრილს** საღამოს 5 საათზედ დანიშნულია სათავად აზნაურო გიმნაზიაში საზოგადო კრება წვრილ ვაჭართა 1 და 2-რე უბნის კომიტეტის ასარჩევად.

ბათომი.

◆ **„ბათუმის უწყებანი“.** ბათუმის აღმასრულებელმა კომიტეტის პრეზიდიუმმა, გაზ. „ბათუმის უწყებები“ მოქმედება მავნებლად აღიარა. ეს გაზეთი ხალხს ჰრევს, რევოლიუციის დიად პრინციპებს დასცინის და პროვოკაციობას ეწევაო,— განმარტა პრეზიდიუმმა.—მისი მავნე მიმართულება ყველა სარევოლიუციო პარტიების მიერ არის აღიარებულიო, და ამიტომ დაადგინა, ეს გაზეთი დაიკეტოს და მის რედაქციას არც შემდეგისათვის მისცეს გაზეთის სხვა სახელით გამოცემისა.

პროვინცია.

◆ **კახეთის კავშირი.** ხვალ, აპრილის 30-ს თელავში დანიშნულია კახეთის წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა კავშირის მონაწილეთა საგანგებო კრება. სხვათა შორის კრებას გადასაწყვეტად წარედგინება შემდეგი საკითხები: 1) დაარსება ქართულ სახალხო ბანკისა და 2) კავშირის გამგეობის გადატანა თბილისში.

ვ. გუნიას იუბილე

მისალოცი დეპეშები.

ენზელი. აპრილის 26. ენზელის ქართველთა ბიურო მეომარ და მოქალაქე ქართველთა სახელით სპარსეთიდან სალამს უძღვნის ნიჭიერს და დამსახურებულ არტისტს და საზოგადო მოღვაწეს, საყვარელ ვალერიან გუნიას. ჩვენს წვლილსაც ვგზავნით.

ქართველთა ბიურო.

ქუთაისი. აპრილის 28. სამშობლოს უუფლებობასთან ბრძოლამ მრავალი სულიერი განცდა მოგაყენათ და ჯანმრთელობა შეგირყიათ. მისმა თავისუფლებამ აღგაფრთოვანოთ ახალ ცხოვრებისა და ნაყოფიერ მოქმედებისათვის.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია.

—

ძვირფასო ვალიკო!

თბილისის პირველ სავაჟო გიმნაზიის ქართველ მოწაფეთა წრე აღტაცებით ეგებება თქვენს სადღესასწაულო ზეიმს და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ეროვნულ თეატრის ასაყვავებლად. ამასთან ერთად გაახლებთ ჩვენ მცირე წვლილს: დირექტორ იაკობ სოლომონის ძე ღულაძისაგან 25 მანეთს და მოწაფეთაგან 20 მანეთს, სულ 45 მანეთს.

შემომწირველთა სია: სამი მანეთი: გ. ხოკერიამ. მანეთ ნახევარი: ხატიაშვილმა. თითო მანეთი: რცხილაძემ, ზაალიშვილმა, სესიაშვილმა, ყიფიანმა, ჩოლოყაშვილმა, მინდადაურმა, კანდელაკმა, ლაზიშვილმა და ჯანდიერმა. ათ-ათი შაური: ქართველიშვილმა, იოსელიანმა, მაღალაშვილმა, მრევლიშვილმა, სიდამონ-ერისთავმა, გვარამაძემ, მათიაშვილმა, ჯანდიერმა, იორდანიშვილმა ოდიშელიძემ და რუსიშვილმა. ორი აბაზი: გედევანიშვილმა. თითო აბაზი: ღვთისავრიშვილმა, ნათიძემ და ანდრონიკაშვილმა.

წრის დროებითი გამგეობა: ს. მათიაშვილი, ი. რცხილაძე და შ. ხატიაშვილი.

საქართველოს საკათალიკოსო

გორის მაზრის სამღვდელოების სალამი საქართველოს კათოლიკოსის მოსაყდრეს.

გორის მაზრის მეცხრე ოლქის სამღვდელოება ვულოცავთ როგორც მთელ მეუფებას, სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრეს ყ-დ სამღვდელო ლეონიდს, აგრეთვე ამ საქმისათვის წამებულ პირთ და ქართველ ერს, ივერიის მრავალ წვებულ ეკლესიის განთავისუფლებას. ვევედრებით უზენაესს მათს მრავალ ჟამიერ სიცოცხლეს და ჯანმთელობას, რომ მკვიდრ ნიადაგზედ აღსდგეს და აყვავდეს ღვთის მშობლის მფარველობით თავისუფალ საქართველოში ავტოკეფალური ეკლესია, ქართველ ხალხის საკეთილდღეოდ.

თავისუფალ ეკლესიას სჭირია თავისუფალი ერი; ამიტომ ვუერთდებით საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას და ვუსურვებთ ჩვენს სამშობლოს გათელილ ეროვნულ უფლებათა აღდგენას და ეროვნულ ტერიტორიულ ავტონომიის მინიჭებას. მზადა ვართ ვენაცვალნოთ ჩვენს სამშობლო საქართველოს და დავიჭიროთ ალაგი „თორნიკე ბერის რაზმში“.

დირგვის სამრევლოს
მღ. ალ. ოქროპირიძე და სხ.

ეროვნულ-დემოკრატული პარტია

ქართველ ეროვნულ - დემოკრატ სტუდენტთა კრება. აპრილის 27, საღამოს 6 საათზედ, ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა (განურჩევლად სქესისა) კრებას დაესწრო 35 კაცი. კრების საგანი იყო საორგანიზაციო საქმეებზე მსჯელობა. კრების ერთმა წევრთაგანმა განუმარტა დამსწრეთ, თუ რა მიზანი აქვს ამ ორგანიზაციის დაარსებას: და უახლოეს მიზნად ის საერთო ლოზუნგის შემუშავება დაისახა, რომლითაც ეროვნული დემოკრატი სტუდენტები უნდა გავიდნენ მომავალ საერთო სტუდენტთა კონფერენციაზე. კრებამ ერთხმად მოიწონა ეს აზრი და პირდაპირ საქმეზე გადავიდა. იმსჯელეს ორგანიზაციის შინაარსზე. მოლაპარაკეთ აღნიშნეს, რომ საჭიროა ერთგვარი მომზადება და პროგრამების დეტალურად შესწავლაო. სხვა და სხვა საკითხებზე წაკითხულ უნდა იქმნეს პროგრამული ხასიათის რეფერატებიო. შემდეგ გადავიდნენ პროპაგანდის საკითხზე, პროპაგანდის საჭიროება ერთხმად მიღებულ იქმნა, მხოლოდ საჭიროდ სცნეს წინასწარი მოსაზრება. შემდეგ წინადადება შეიტანეს: იმ პირთ, რომელთაც ამ მოკლე ხანში მოუხდებათ სოფლებში წასვლა, მივცეთ რაიმე დარიგება თუ როგორ უნდა იმოქმედონ, რათა რაიმე ტაქტიკური შეცდომა არ მოუვიდეთო. ამის შემდეგ შეიმუშავეს თვით ფორმა ორგანიზაციისა და აირჩიეს 5 კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი.

თავმჯდომარემ წამოაყენა საკითხი საწევრო გადასახადისა. კრებამ გადასწყვიტა: ყოველმა წევრმა შეიტანოს ერთდროულად არა ნაკლები 1 მან., ხოლო ყოველ თვიურადაც 1 მან.

მდივანი.

ჭიათურის შავი ქვის მომხმარებელნი

ქვეყნიერება მდიდარია შავი ქვით. ისეთი მრავალ-ნაირი თვისებანი შავი ქვისა როგორც ჩვენში, სხვა არ არის, რომ შავი ქვის საჭიროება, ევროპის ბაზარზე პურისა და წყლის მსგავსია, ეს უკვე ცხადია. ნურავინ იფიქრებს, რომ შავი ქვა მარტო ჩვენში იყოს; შავი ქვა ძალიან ბევრია სხვა ქვეყნებშიდაც და ზოგან წარმოებაცაა გაჩაღებული, მაგრამ ჭიათურის შავ ქვას, მთელ დედა-მიწის ზურგზე უპირატესობა ეკუთვნის. მაგ. ბრაზილია, ინდოეთ-კუბა, სადაც უექველია ახლა შედარებით წინანდელ დროზე წარმოება დიდათ გაზრდილია და საფიქრებელია, რომ ევროპის ბაზრის დიდს ნაწილს, ესე იგი, ამერიკას, ინგლისს და საფრანგეთს, ეს ქვეყნები ასაზრდოებს. ამ ხანად ევროპის ბაზარზე შავი ქვისა დიდი ნაკლებულობაა და ყველაზე უფრო კი პიროქსიდისა. უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოდ დასახელებული ადგილები ღარიბნი არიან პიროქსიდით, ან შეიძლება იგი იქ სრულიადაც არ მოიპოვება. ამიტომ უცხო ქვეყნებში ჭიათურის ქვის გადასაზიდავად ამ ხანათ ყოველივე ზომებია მიღებული და ამისათვის არავითარ ხარჯს არ ერიდებიან. ჩვენმა ქვამ რუსეთის ვეებერთელა სახელმწიფოს ტერიტორიაზე სწორედ ახლა, ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში მოიპოვა ბაზარი და ეს მოულოდნელად მოხდა. რუსეთში ხომ დღეს შავი ქვის გადასაზიდად გახსნილია გზები და ეს იმ დროს, როცა პურისათვის კი შეკრულია იგი. გახსნილია გზები ხმელეთით და ზღვითაც, რამდენადაც-კი ეს მოსახერხებელია. შავი ქვა საფოსტო ამანათებითაც კი მიაქვთ. ამ ამანათების წონის ნორმა კი მხოლოდ 12 გირვანქაა. ასეთი ამანათის გადატანა სწარმოებს წვრილ ტომრებით და ხან-და-ხან დღიურად 300-400 ასეთი ამანათი იგზავნება. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი „ტომრებით“ ქვა, უფრო რუსეთის ბაზარ გარეშე მიდის. ასეთი ზიდვა საქონლისა კი ძალიან ძვირად ჯდება და ეს იმ დროს, როცა ჩვენი საუკეთესო ხარისხის ქვანახშირისათვის წინედ ფუთში 10—15 კაპ. არ იმეტებდნენ. ახლა კი 2—3 მანეთი გადაზიდვაში იხარჯება. აქედან ირკვევა, რომ ჩვენი შავი ქვა, თურმე ფას დაუდებელი საქონელია ევროპის ბაზრისათვის. ჩვენში ამ მადნის დამუშავება ძლიერ ადვილია, იაფიცა ჯდება და თან სიუხვითაც ჭარბობს ყველა უკვე არსებულ ასეთსავე მადნებს. იქნებ ამიტომაა, რომ ჩვენ ევერ ვუვლით მას... ჩვენ არ ვიცით მისი ფასი; ჩვენი მრეწველები კმაყოფილდებიან ფუთებზე რაღაც $^1/_2$ ან 1 კაპეიკის მოგებას. იმ დროს, როცა, რომელიმე აფერისტი—მაკლერი ამ ჩვენ ნაშრომში, ამდენ მოგებასაც არა სჯერდება და თვით მისი მომხმარებელი, სანამ ამ მისთვის საჭირო საქონელს მიიღებდეს ანუ ასე ვთქვათ შეიძენდეს ჩვენგან, ვინ იცის, ზევით დასახელებულ ხარჯს გარდა კიდევ რამდენსა ხარჯავს, ხოლო მოგებით-კი იქნებ მანეთობითაც გებულობს ფუთზე. რა გაეწყობა! დაუფასებელ სიმდიდრეზე ხშირად მდიდრდებიან ხოლმე უცხონი. წარსულში მრავალი ასეთი შემთხვევები ყოფილა. „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“, ნათქვამია, მაგრამ ეს თუ ევროპის ბაზრის წყალობაა, სადაც ჩვენ სრულიადაც არ მიგვიწვდება ხელი და ასეთი ჩვენი- ხელმიუწვდენლობით სარგებლობენ ზოგი სრულიად ზედ-მეტი ელემენტები, მაგრამ რუსეთი? რუსეთის ბაზარმა უნდა გამოაფხიზლოს ჭიათურის მრეწველები; რუსეთის ბაზარმა უნდა გამოიყვანოს ისინი წინანდელ მდგომარეობიდან. ჩვენს მწარმოებლებს სრულიად უნდა აუქციონ გვერდი ქვის გაყიდვაში წინანდელ სისტემას. მართალია, ბანკების ბრჭყალების გვერდის ახვევა ძნელი იქნება, მაგრამ მაკლერების ჩამოშორება კი ადვილი შესაძლებელია: ერთი სიტყვით, ჩვენ და ჩვენი შავი ქვის მომხმარებელნი უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, ამას მოითხოვს თვით მომხმარებელთა ინტერესები ჩვენს ინტერესებთან ერთად. ამით ჩვენც და ჩვენი შავი ქვის მომხმარებელნიც თავიდან ავიცილებთ იმ აურებელ მუქთა ხორებს, რომლებიც ძალით გვეჩხირებიან. ამით წარმოებაც თანდათან გაუმჯობესდება და შავი ქვის გაყიდვის სიქმეც თანდათან სასურველ კალაპოტში ჩადგება.

თუ როგორ უნდა მოხდეს ესა, ამას თვით საქმე დაგვანახვებს, მაგრამ საამისოდ დრო რომ მომწიფებულია ეს აშკარაა. მაშ მეტი სიფხიზლე და მწარმოებელთაგან გაბედული ნაბიჯის გადადგმა აქაა საჭირო! რუსეთის ახლად გამოცოცხლებული ბაზარი, ე. ი. რუსეთის მექარხნეები და ჩვენი მრეწველობა ახლოა ერთმანეთთან და ყოველივე ის სიძნელე, რაც შორეულ ექსპორტს წინ ეღობება თავიდან აქ აცილებულია.

ა. ხაბულიანი.

პროვოკაცია.

„მუშათა და ჯარის კაცთა უწყებებში“, კაპიტანი სტრელკოვსკი სწერს: „თავისუფლების წმიდა ჰაერში პროვოკაცია კვლავ სწარმოებს, დაქირავებული პირები კვლავ სცდილობენ ამიერ-კავკასიის ერებში უთანხმოება შეიტანონ და პოგრომები გამოიწვიონ; ხმებს ავრცელებენ ვითომ თურქები რუსების მიერ დაპყრობილ ადგილებში, რუსებისა და სომხების წინააღმდეგ ემზადებიან. ხმები ისე გავრცელდა, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქცია და თურქების წინააღმდეგ ზომები მიიღო. ამბობდნენ, რომ ოსმალების ერთი კორპუსი არზრუმის ახლო მდებარე მთებში დარჩა; მათ განზრახვა ჰქონდათ რუსებისათვის უკანიდგან შეეტიათ. გავრცელდა ხმა ოსმალების აქტიური მოქმედებისა რუსების წინააღმდეგ და რუსის ჯარის კაცთა დახოცვის შესახებ. ამის შესახებ მე და ამხანაგ ჯარის კაცს მონოხინს საროყამიშში, სადაც გაგზავნილი ვიყავით ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ ჯარში პროპაგანდის გასაწევად, აი რა გვიამბეს: არზრუმში 30 რუსის ჯარის კაცია მოკლულიო; ჩხრეკის დროს არზრუმში ბევრი იარაღი აღმოაჩინესო; ჰასანკალაში მოკლულ ჯარის კაცთა რიცხვი 60 უდრისო. ამ ხმების გავლენით იქაურმა მთავრობამ ჰასანკალაში ჩხრეკა მოახდინა, მაგრამ ჩხრეკას არავითარი შედეგი არ მოჰყვა, მხოლოდ ზოგიერთ ნაძირალა

პირებს, და, სამწუხაროდ რამდენიმე ჯარის კაცს, შეძლება მიეცა გაეძარცვათ დ ოსმალების წინააღმდეგ ძალადობა ეხმარათ. შვიდი ამათგანი თვით ჯარის კაცების მიერ დატყვევებულ იქმნა. არზრუმის სადგურზე გვარწმუნებდნენ, არზრუმში მოკლულ ჯარის კაცთა რიცხვი 65 აღემატებაო. საღამოთი შეუძლებელია გარედ გასვლა, რადგან ოსმალები ყველასა ხოცავენო. არზრუმის აღმასრულებელმა კომიტეტმა კატეგორიულად გამოგვიცხადა, რომ არავინ მოკლული არ არის და ვერც იარაღი აღმოგვიჩენიაო. ამ პროვოკაციულმა ხმებმა დიდი აღელვება გამოიწვია ჯარის კაცებში, რომელთაც ბევრი ოსმალო მოჰკლეს და ბევრიც დაასახიჩრეს. ეხლა საფიქრებელია, რომ ამ პროვოკაციაში დამნაშავეა რომელიმე კავკასიის ერი. ეს კი კავკასიის ერებში შუღლსა და მტრობასა სთესს.

სამართლიანობის აღსადგენად, თავისუფლების წმიდა პრინციპებისათვის ჩვენ მოვითხოვთ დაუყონებლივ დაინიშნოს კომისია სხვა და სხვა ერების წარმომადგენლებისაგან, რომელმაც უნდა გამოარკვიოს სამწუხარო მოვლენა და მიზეზები. ნაპოვნი უნდა იქმნეს ის პირნი, რომელთაც სურთ, პოგრომებით და კავკასიის ერებში მტრობის ჩაწოგდებით, ჩირქი მოსცხონ რევოლიუციის წმიდა დროშას.

პროექტი

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის წესდებისა.

(დასასრული)

საპროფესიო სასამართლო

§ 30. ა) საპროფესიო სასამართლო იმყოფება ქ. თბილისში და განაგებს: საპროფესიო ეთიკასა, ამ წესდების დაცვის, ხელშეკრულებათა, პირობათა და შეთანხმების დარღვევის საქმეებს.

ბ) საპროფესიო სასამართლოს გადაწყვეტილებას ემორჩილება ყოველი წევრი კავშირისა.

გ) საპროფესიო სასამართლო შესდგება 4 კაცისაგან, რომელთაც ირჩევს საზოგადო კრება ერთის წლის ვადით.

დ) საპროფესიო სასამართლოში შეუძლიან საჩივარი შეიტანოს, როგორც კავშირის წევრმა, აგრეთვე არაწევრებმაც, თუ კი საჩივარი ეხება კავშირის წევრს, ან დაწესებულებას და არა წევრი თანახმაა დაემორჩილოს სასამართლოს განაჩენს.

ე) სასამართლო მოვალეა საქმეები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაარჩიოს, უკეთუ არა ნაკლებ 5 საქმისა მოგროვდა.

ვ) თითეულ საქმის განხილვის დროს სასამართლო ირჩევს თვის შორის თავმჯდომარეს.

ზ) საპროფესიო სასამართლოს იწვევს საბჭო, რომელიც მოვალეა სასამართლოს დადგენილებანი სისრულეში მოიყვანოს.

ჱ) ყოველი საკითხი სასამართლოში უბრალო ხმის უმეტესობით სწყდება. თუ ხმები გაიყო, საკითხი ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტილათ უნდა ჩაითვალოს. უკეთუ სასამართლოს რომელიმე წევრი მოითხოვს, საკითხი ფარულ კენჭის ყრის ნებით უნდა გადაწყდეს.

თ) უკეთუ მომჩივან-მოპასუხის გამოუცხადებლობის მიზეზი არ იცის სასამართლომ, ორ-გზის მოწვევის შემდეგ, შეუძლიან ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლადაც დაადგინოს თავისი განაჩენი.

ი) საპროფესიო სასამართლოს შეუძლიან ესეთი განაჩენი გამოიტანოს:

1) მოსპოს საქმე.

2) მოარიგოს მომჩივან-მოპასუხე.

3) შავ დაფაზე დასწეროს დამნაშავე პროფესიონალის სახელი.

4) გაფრთხილება მისცეს ბრალდებულს.

5) დააჯარიმოს თავის და მიხედვით კავშირის რომელიმე კასის სასარგებლოთ.

6) დროებით ჩამოართვას კავშირის წევრს საბჭოს მიერ მიცემული საპროფესიო მოწმობა.

7) სრულიად გამორიცხოს კავშირის წევრობისაგან.

ია) კავშირის წევრს, რომელიც სასამართლოს მიერ გამორიცხულ იქნება, შეუძლიან ეს დადგენილება გასაჩივროს საზოგადო კრებაზე. საჩივარი უნდა შეტანილ იქმნას საბჭოს სახელზე დადგენილების შემდეგ არა უგვიანეს ერთი თვისა. ესეთი საჩივარი უნდა წარდგენილ იქმნეს ან საბჭოს მიერ, ან კავშირის 15 წევრის წინადადებით.

იბ) რომელი წევრიც არ დაემორჩილება სასამართლოს განაჩენს, ითვლება კავშირიდან გამორიცხულად. ეს ამბავი გამოცხადდება საჯაროთ გაზეთის საშვალებით და ჩამოერთმევა საპროფესიო მოწმობა.

იგ) კავშირიდან გამორიცხული წევრი, უკეთუ მოისურვებს კავშირის ხელახლად წევრობას, უნდა წერილობითი განცხადებით მიმართოს საბჭოს შუამავლობით საზოგადო კრებას. საზოგადო კრებას შეუძლიან ისევ მიიღოს წევრად, მხოლოდ იმ მიუცილებელის პირობით, რომ სამართლის წინანდელ დადგენილებებს დაემორჩილოს.

იდ) საბჭო მოვალეა შემოსული თხოვნა ორი კვირის განმავლობაში გადასცეს სასამართლოს.

იე) საპროფესიო სასამართლოს საქმის წარმოება ევალება საბჭოს კანცელიარიას, ხოლო სასამართლოს მდივნობას ასრულებს ერთ-ერთი მოსამართლეთაგანი.

ივ) საპროფესიო სასამართლო მოვალეა საქმეები გაარჩიოს სრულის ხელმდებით, ზედ-მიწევნით და მხედველობაში მიიღოს, როგორც საპროფესიო ერთურთ მხარე, აგრეთვე ცხოვრების ზნე-ჩვეულება, მისი პირობები და არ დაემყაროს მხოლოდ იურიდიულ ნორმებს.

იზ) მოსამართლენი მოვალენი არიან საიდუმლოთ დაიცვან საქმის წარმოების მსვლელობა და ნათათბირევი.

იჱ) საპროფესიო სასამართლოს ყოველივე განაჩენი იბეჭდება კავშირის წლიურ ანგარიშებში.

ით) ყოველ გასამართლების დროს სასამართლო მოვალეა მხედველობაში მიიღოს ბრალდებულის წინანდელი დანაშაულობანი და სასამართლოს განაჩენი.

IV ქონება.

§ 31. კავშირის ქონება შესდგება:

ა) წევრთა მიერ ერთდროულად შემოტანილ გადასახადისაგან;

ბ) საწევრო წლიურ გადასახადისაგან;

გ) პროფესიონალ წევრთა ჯამაგირებიდან კავშირის სასარგებლოთ გამორიცხულ %-გან, რომლის რაოდენობასაც საზოგადო ჰონორარიდან დატოვებულ %-გან.

დ) უჰონორარო პიესებისაგან;

ე) ჯარიმებისაგან;

ვ) სეზონურ წარმოდგენათა %-გან,

ზ) საგასტროლო გასამრჯელოს %-გან;

ჱ) წევრებისა და აგრეთვე გარეშე პირთა შემოწირულებისაგან;

თ) უძრავ და მოძრავ ქონებისა და მათი შემოსავლისაგან;

ი) სათეატრო სეზონების წმინდა შემოსავლისაგან;

ია) კავშირის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენების, საღამოების, კონცერტების, საჯარო ლექციების, ბაზრობის, სეირნობისა და საჯაროთ ნიშნების გაყიდვის შემოსავლისაგან; იმ წიგნების, პიესების, როლების და პერიოდულ გამოცემათა შესავლისაგან, დრამატიულ და სხვა დაწესებულებათა მიერ გაღებულ სუბსიდიათაგან, რომელთაც სატეატრო სეზონის საწარმოებელი დანიშნულება აქვთ.

იბ) ყველა ქართულ წარმოდგენებისაგან შემოსულ %-გან სადაც და ვისგანაც არ უნდა იმართებოდეს გარდა სახალხო წარმოდგენებისა, სადაც ხოლო 1 რიგის ფასი არ აღემატება 50 კ-ს.

იგ) ერთი სავალდებულო წარმოდგენისა, რომელიც ყველა საქართველოს ქალაქებში იმართება ერთსა და იმავე დღეს კავშირის სასარგებლოთ.

§ 32. 1. კავშირის კასაში შესული ფული მოხმარდება შემდეგ დანიშნულებას:

ა) ძირითადი თანხა, ბ) საგანგებო, გ) საწარმოებელი და დ) საპენსიო, შემნახველ-გამსესხებელი და სხვა კავშირის მიერ შექმნილ დაწესებულებათა გასაძლოლი თანხა.

2) კავშირის ყოველი თანხა ინახება ერთ-ერთ საკრედიტო დაწესებულებაში.

3) ბანკიდან ან საკრედიტო დაწესებულებიდან ფულის გამოტანა შეიძლება თავმჯდომარის და ბუღალტერის ხელმოწერილ ჩეკებით.

4) კავშირის ფულის დახარჯვა საბჭოს მხოლოდ საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულის ხარჯთ-აღრიცხვის თანხმად შეუძლიან.

V დახურვა.

§ 33. თუ რაიმე მიზეზის გამო კავშირს ბოლო მოეღება, საზოგადო კრება ირჩევს სალიკვიდაციო კომისიას, რომელიც გამოარკვევს და გაასწორებს კავშირის ყოველივე ანგარიშს. ხოლო უკეთუ კავშირს რაიმე ქონება დარჩა, მას გადასცემს საზოგადო კრების დადგენილების მიხედვით.

კორესპონდენცია

ეპისკოპ. კირიონი გორში

აპრილის 25-ს გორში ცნობა იყო, რომ ეპ. კირიონმა გორზე უნდა გაიაროსო. საზოგადოება დასახვედრად გორის სადგურზე გავიდა. სასწავლებლებიდან მოწაფეები დაითხოვეს. ხალხი დილის ათი საათიდან საღამოს 5 საათამდე სადგურზე იცდიდა დროშებით ხელში, მაგრამ კირიონი არ მობრძანდა. მეორე ცნობა მოვიდა, რომ ეპ. კირიონი გორში აპრილის 26 ამოვაო. ხალხი კვლავ სადგურზე გავიდა, მაგრამ შედარებით ნაკლები. ეპისკოპოზი 12 საათის მატარებლით მობრძანდა. პირველად ეპისკ. მიესალმა ქალაქის თავის თანაშემწე მელიქიშვილი, შემდეგ დეკ. ლუკიანოვი. კირიონს აღელვება ეტყობოდა. სადგურიდან სამღვდელოებამ საკრებულო ტაძარში მიიწვია, მცირე პარაკლისის გადასახდელად. იქაც მიეგებნენ სიტყვებით ჯერ დეკ. ივ. კაპანაძე, ხოლო შემდეგ ჩ. კაპანაძე. პარაკლისის შემდეგ კირიონმა გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. გორში ორი საათი შეჩერდა და პირდაპირ თავის სამშობლო სოფლისაკენ, ქვემო-ნიქოზისაკენ გაემგზავრა.

კვირას, აპრილის 30, ეპ. გორში გამოივლის. გორის აღმასრულებელ კომიტეტს და მუშათა საბჭოს განზრახვა აქვს დიდი ზეიმით შეჰხვდნენ კირიონს და თავისთან მიიწვიონ. საზოგადოებაც ემზადება.

დამსწრე.

აჭარაში.

აჭარაში სამწუხარო ამბები ხდება. თავისუფლება აჭარელმა ბეგებმა და აღიებმა თავის სასარგებლოდ გაიგეს, სცდილობენ აჭარაში არ გააჭაჭანონ ისეთები, ვინც ხალხს აუხსნის, თუ რა არის ნამდვილი თავისუფლება. ქრისტიანი ქართველები, რომელთაც ამდენ ხალხს აჭარლები დიდ პატივსა სცემდნენ, დღეს თითქმის დევნას განიცდიან, არავითარ საქმეში აღარ ირჩევენ. კომიტეტებში აირჩიეს ბეგები და აღიებ-ხოჯები. ზემო-აჭარაში კომისარ[illegible] აირჩიეს სტრა[illegible]ნიკად ნამდვ. ეგი.

მდგომარეობის გამწვავებას ხელს უწყობენ თურქების მიერ მოსყიდული აგენტები და აჭარის ხიზანი ბერძნები. ესენი აჭარლებს არწმუნებენ: ახლა ქართველების მეფობაა და გაგაქრისტიანებენო. ქედელი ბერძენის მასწავლებელის იორდანიდის, ჟანდარმერიის ჯამაგირიანი აგენტის, დაპატიმრება კაი ხანია გადასწყდა, მაგრამ ის კვლავ თავისუფალია და თავისას არ იშლის.

მას ეხმარება აგრონომიული პუნქტის სტაროსტა ბერძენი კირიაკ შახბაზოვი და ბერძენი მასწავლებელი ქალი. ყოველივე ეს ბათომის კომიტეტს რამდენჯერმე მოახსენეს, მაგრამ ვილაცას მარჯვენა პროვაკატორებს სწყალობს.. თვით მდაბიო ხალხი აჭარისა აქ არაფერ შუაშია, ხალხს სულ სხვა რასმე აგონებენ, თორემ მას ქრისტიანი ძმები არ სძულებია და არც ახლა სძულს...

ხ. თ.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპიძე.**

გამომცემელი **ამხ. „საქართველო“.**

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:				
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.08	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3,20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.
თბილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
თელავიდან		№ 3,	6.24	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ,

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბეშიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
მ. გ. ვეშაპიძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 8.

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18
ტელეფონი № 11—82.

ექიმი კბილისა
ე. [illegible]შვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
მ. ი. ვარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (ტ.—202—)

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
ბ. მ. მ უ ხ ა ძ ე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ
საღამოს 5-6 ს. -მდე, კვირა დღის გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის ხაზინის საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ელექტროლოგიისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრიანისა, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე. ტრამვაი „914“ და „606“
შეზხაპუხება

განცხადება
ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭო
აუწყებს ყველას, ვინც კლუბის ბიბლიოთეკით სარგებლობენ, რომ მომავალ
მაისის პირველიდგან
კლუბი შეუდგება ბიბლიოთეკის სისტემატიურ კატალოგის შედგენას და ამიტომ სთხოვს წაღებული წიგნები
დაუყონებლივ დააბრუნონ
(4—669—1)

საქართველოს ეროვნ.-დემოკრატიული პარტიის
ბათომის კომიტეტი
აცხადებს, რომ კვირას, 30 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საზოგადო საკრებულოს დარბაზში დანიშნულია პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა
საზოგადო კრება.
კრებაზე დასწრება შეიძლება საწევრო ბარათებით. ვისაც საწევრო ბარათი არ მიუღია, შეუძლია კრების დაწყებისას მიიღოს ორი წევრის რეკომენდაციით.
(2—666—1)

საავადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსეარული ავადმყოფებისთვის:
დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საადამდე.
ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ასპისოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონსე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს აათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა დ საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე [illegible] საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. [illegible] საათამდე.
ბაგ[illegible]—[illegible]ის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
[illegible]ბანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.
კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძათა და მოსამსახურეთა გაშინჯვა, სისხლის გაშინჯვა სიფილისტიანებისა.
სათვალეების შემოწმება.
(100—667—1)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის**
მხოლოდ მიტროფანე ლ ა ღ ი ძ ი ს და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდნენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია
„ლაღიძის წყალი“



მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ზეით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მუშოხნი**“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიება** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის **ზუთხი**, თართი, **ფარგა** და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება

ქარებს (რევმატიზმის),
ნ ე კ რ ე ს ი ს
თირკმელების (ჭაჭების)
და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „**ურადონალ**“, და მაზი წასასმელი „**ატრო**“, სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „**ურადონალისა**“ ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „**ურადონალი**“ და ოთხი კოლოფი მაზი „**ატრო**“. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.
თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.
Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

სტამბა „ცხოვრება“ ახვლედ კალანდაძისა, გამგეის შესახვევი № 4.